ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო
უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

საგინაძე შორენა

ქალის კულტი აკაკი წერეთლის შემოქმედებაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი - გურამ ბახტაძე

ხიჭაური
2021 წელი

შინაარსი

ანოტაცია (ქართულად) ---------- 3

ანოტაცია (ინგლისურად) ---------- 4

I. აკაკი წერეთლის ლიტერატურული პორტრეტი ---------- 5

II. ქალის კულტის ისტორიული გენეზისი ---------- 10

III. ქალის კულტი აკაკი წერეთლის შემოქმედებაში ---------- 24

IV. დასკვნა ---------- 45

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 50

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს ქალის კულტი და ქალის სახე აკაკი წერეთლის შემოქმედებაში.

ნაშრომში განხილულია აკაკის, როგორც მწერლის და შემოქმედის სახე. დახატულია მისი ლიტერატურული პორტრეტი, მოყვანილია სხვადასხვა მწერლის და მეცნიერის შეხედულება და დამოკიდებულება.

ნაშრომში წარმოდგენილია ასევე ის ქართველი სამაგალითო და მისაბაძი მანდილოსნები, ვისითაც ამაყობდა და მუდამ იამაყებს ქართველი ერი.

აკაკიმ ქართველი ქალის, ქართველი დედის, იმ საამაყო ქალების შთაგონებით შექმნა უამრავი ლირიკული ლექსი, პოემა თუ მოთხრობა. ნაშრომში თითოეული მათგანი არის გახილული თავისი მხატვრული სტილით და ხერხებით.

ნაშრომში მოცემულია დასკვნები და სტუნდის მოკრძალებუ აზრი განხილულ თემასთან დაკავშირებით.

Annotation

The aim of this paper is to explore the cult of woman and the face of woman in the work of Akaki Tsereteli.

The paper discusses the face of Akaki as a writer and creator. His literary portrait is painted, the views and attitudes of various writers and scholars are given.

The work also presents the Georgian exemplary and exemplary women, of whom the Georgian nation was and will always be proud.

Akaki inspired many lyrical poems, poems or stories with the inspiration of a Georgian woman, a Georgian mother, those proud women. Each of them is presented in the work with its artistic style and techniques.

The paper provides conclusions and a modest opinion of the student on the topic under discussion.

I. აკაკი წერეთლის ლიტერატურული პორტრეტი

აკაკი წერეთელი ახალი ქართული ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენელია. მან შექმნა შეუდარებელი მხატვრული შედევრები ლირიკის, ეპოსისა და დრამატურგიის დარგში. მასვე ეკუთვნის ბრწყინვალე ნარკვევები, ფელეტონები, პუბლიცისტურ-კრიტიკული წერილები, მემუარები, სტატიები ლიტერატურისმცოდნეობის, თეატრის, ისტორიის, ხალხური შემოქმედების, ქართული ენის, სწავლა-აღზრდისა და სხვა თემებზე.

პოეტის მთელი მხატვრული შემოქმედება შთაგონებულია ხალხის საუკეთესო იდეებით.

აკაკი წერეთელემა, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, 60-იანი წლების გარიჟრაჟზე გამოაღვიძა ქართველი ხალხის ეროვნული შეგნება და, როგორც ჭეშმარიტმა სახალხო პოეტმა, გამოხატა მშრომელი ერის ტანჯვა და სიხარული, მისი ოცნებანი და იმედები. აკაკი, ილიასთან ერთად, ახალი ქართული სალიტერატურო ენის შემქმნელი და კრიტიკული რეალიზმის დიდი მედროშეა. პოეტმა შთაგონებულ მხატვრულ სახეებში აღბეჭდა ქართველი ხალხის საუკეთესო ნაციონალური თვისებები: გმირული სული, გაუტეხელი ნებისყოფა თავისუფლებისათვის ბრძოლაში და მაღალი ჰუმანისტური იდეალები.

აკაკი იყო შეუდრეკელი პოეტი-პატრიოტი, რომელიც ყოველდღიურად, სიტყვით და საქმით იბრძოდა ხალხის სოციალური და ეროვნული ინტერესების დასაცავად.

რუსთაველის შემდეგ აკაკი ყველაზე პოპულარული პოეტია საქართველოში. ხალხური სულით იყო გამსჭვალული მისი ყოველი თხზულება, ყოველი სტრიქონი.

აკაკის ლიტერატურულ-ესთეტიკური დახასიათება მოგვცა ბევრმა ქართველმა გამოჩენილმა მოღვაწემ. ილია ჭავჭავაძე აკაკის შესახებ წერს: "_ ღმერთმა ჰქნას, შენ და შენისთანები მომავალშიც ბევრი გვყოლოდესო" უთქვამთ ბატონი აკაკისთვის. "ღმერთმა ნუ გაამართლოს ეგ თქვენი სიტყვაო, -უპასუხია აკაკის: რასაც დღესა ვჯერდებით, ის ხვალ საკმაო აღარ არის ხოლმეო". დიახ, ბატონებო ხვალე

დღევანდელს უნდა სჯობდეს, მერმისი აწინდელს. კანონი განვითარებისა და ბედნიერების იმედისა ამაშია და სხვა არაფერში (ჭავჭავაძე, 1990 : 5).

აკაკი წერეთელი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ნამდვი პოეტია. ის ერთადერთი მგოსანია უკანასკნელი საუკუნის ნახევრის ქართველ მოლექსეთა შორის. აკაკი წერეთელს გვერდში შეუძლია ამოუდგეს მეორმოცე წლების მეორე შესანიშნავი პოეტი ნ. ბარათაშვილი. ამ ორმა მგოსანმა სავსებით ამოწურა მიმდინარე საუკუნის საქართველოს ნამდვილი პოეზია, მათ შეიტანეს ამ პოეზიაში მსუბუქსა და სადა ფორმასთან ერთად ცოცხალი, უკვე ღრმად ჩაბეჭდილი ხალხის ხსოვნასა და შეგნებაში, და ტოვებენ წარუშლელ კვალს, რომელიც მარტო ბუნებრივი პოეტური ნიჭით დაჯილდოებულ პირთა კუთვნილებაა.

აკაკი წერეთელი ყრმობის წლებიდან გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე, 1857 წელს, ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნის დროს. ქართულ ლიტერატურაში შეუძლებელია რამეს შეედაროს ის შთაბეჭდილება, რომელიც მისმა პირველმა ლექსმა მოახდინა. ყველა ერთობით, ნასწავლებიც და უვიცებიც მიხვდენენ, რომ ასო “წ”-ით მორცხვად ხელმოწერილ ლექსებში ჟღერს “ლექსის ჰარმონია”, რომლის ღვთიური საიდუმლოების ძებნა ბრძენთა წიგნებში ამაო შრომა იქნებოდა. ამ ლექსების ენა განირჩეოდა წმინდა ხალხური კილოს მანამდე გამოუცდელი სიმშვენიერით და სიმსუბუქით, იმ კილოსი, რომელიც სრულიად თავისუფალი იყო მწიგნობრული ხელოვნებისა და განსაზღვრულობისაგან.

საზოგადოდ, აკაკი წერეთლის სალიტერატურო მოღვაწეობის პირველი დღიდან უკანასკნელამდე, მან ქართულ სიტყვიერებაში მოიპოვა და სავსებით შეინარჩუნა ისეთივე მნიშვნელობა, როგორც პუშკინს აქვს რუსული ლიტერატურის ისტორიაში.

ილიასა და აკაკის ნიჭისა და როლების შედარება ერთმანეთთან ყველაზე უფრო გარკვევით დაგვანახებს თავად აკაკის მნიშვნელობას. როგორც პოეტს ილიას აკაკის ნიჭის ნამცეცით კი არ მოეპოვება. მისი ლექსები ნახელოვნებია, მძიმე, არა მხატვრული და ბევრი ოფლითა და რიტორიკით გაჟღენთილი. ისინი არა თუ თავისით, ბუნებრივად არ ებეჭდებიან მკითხველის ხსოვნას, არამედ მაშინაც კი არ რჩებიან ხსოვნაში, როცა მოწაფესავეთ საგანგებოდ იზეპირებენ მათ. მიუხედავად ამ უსაზღვრო განსხვავებისა, თანამედროვე ქართული ლიტერატურის ამ ორი კორიფეს

ბუნებრივ ნიჭთა შორის, მაინც ილია ჭავჭავაძემ დაიჭირა ლიტერატურაში პირველი ადგილი და მისცა მას მიმართულება სავსებით სწორი და შეურყეველი.” _ ასე აფასებს აკაკი წერეთლის ლიტერატურულ მოღვაწეობასა და ღვაწლს ქართულ ლიტერატურაში ნიკო ნიკოლაძე (ნიკოლაძე, 1990 : 7).

კრიტიკული ესკიზი აკაკის შესახებ წერდა - “ნ. ბარათაშვილი, ილ. ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი სამებაა, რომელიც წარმოადგენს ქართველი ერის სიწმინდეს, დიდებას, მშვენებას და სიამაყეს _მე-19 საუკუნის განმავლობაში. სამივემ ქართული პოეზია ააყვავა და ევროპის პოეზიას ამოუყენა გვერდით. თუ ინგლისელები ამაყობენ ბაირონით, ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ ბარათაშვილით; თუ ფრანგები ამაყობენ ვიქტორ ჰიუგოთი, ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ ილია ჭავჭავაძით; თუ რუსები ამაყობენ პუშკინით, ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ აკაკი წერეთლით” (აკაკის სამრეკლო: 28).

აკაკი წერეთელი განხორციელებული პოეზიაა, ის ქართული ხელოვნების გენიოსია. მისი ლირიკა უკვდავია, _ აქ მუსიკა და პოეზია ერთად არის შედუღებული. აკაკი წერეთლის პოეზიაში თავმოყრილია მთელი ქართველი ერის სულისკვეთება, ფიქრი, გრძნობა, მისწრაფება. პოეტი, რომელიც ასე სრულად, ასე ღრმად გამოხატავს მთელი ერის სულსა და გულს, ჭეშმარიტად გენიოსია.

აკაკი წერეთელმა პოეზიის ყოველ დარგს დააჩნია თავისი ძლიერი კვალი, მაგრამ შეუდარებელი, სწორუპოვარი და უკვდავია ის ლირიკაში. აქ აკაკი თამამად შეგვიძლია გვერდში ამოვუყენოთ მსოფლიოს ლირიკოსებს. გრძნობა სხვა არის, მისი გამოხატვა, გადმოცემა კი სულ სხვა. აკაკის ნიჭის სიძლიერეც იმაში მდგომარეობს, რომ გრძნობებსა და მათ მიერ აღძრულ ფაქტებს პოეტი იმდენად მკაფიოდ, ნათლად და სრულად გამოხატავს, რომ ჩვენც ვიმსჭვალებით პოეტის ფიქრითა და გრძნობით.

აკაკი წერეთელი პოეტია. მისი პოეზია ქართველი ერის გულის ნადებია და სულის კვეთება. ის მუდამ ქართველ ხალხს, ქართულ ცხოვრებას, ქართველების ბედ-იღბალს დასტრიალებს თავს; _ ამავე დროს აკაკის ლირიკა მსოფლიო ლირიკაა. აი ამაში მდგომარეობს აკაკის სიდიადე: ეროვნულ ნიადაგზე მან მსოფლიო პოეზია შექმნა.

თანამედროვე სამწერლო ენა აკაკიმ შექმნა: მან გაამარტივა, გაამდაბიურა, გაამდიდრა, გაამშვენიერა ქართული ენა და ერთნაირად ადვილად გასაგები გახდა ის

ყველა ქართველი მკითხველისათვის. აკაკი წერეთელმა უკვდავყო ქართული პოეზია და ქართული ენა და ამით უკვავყო საკუთარი თავი.

სომხური გაზეთი "ორიზონი" წერს: "დღეს ქართველი ხალხი მიწას აბარებს თავის საყვარელ პოეტთაგანის აკაკი წერეთლის ცხედარს. შოთა რუსთაველის გენიის შემდეგ აკაკის ყველაზე საპატიო ადგილი უკავია. ჩვენ არვიცით მეორე სხვა ქართველი პოეტი, რომელიც აკაკი წერეთლის მსგავსი პოპულარულობით სარგებლობდეს".(აკაკის სამრეკლო :37).

ექვთიმე თაყაიშვილი აკაკის შესახებ გვამცნობს: "გასული თვე დიდებული მგოსნის აკაკის გლოვის თვე იყო. მისი სიყვარულით გაერთიანებული საქართველო გლოვობს თავის საუკეთესო შვილს. ყველას სურს სიტყვით თუ კალმით გამოხატოს მისი ღვაწლი სამშობლოსადმი, გაგვითვალისწინოს მისი სამსახური, სავსებით დაგვიხატოს მისი სურათი, მაგრამ ამაოდ! ყველა გრძნობს, რომ ვერ უთქვამს ის, რისიც თქმაც უნდოდა, ოდნავადაც ვერ დაუხატავს ის, რისიც დახატვა სურდა. ხოლო, როდესაც ჩვენი მგოსნის სახელს ვახსენებთ ხოლმე, მის სპეტაკ სახელთან ერთად თვალწინ გვეშლება დიდებული სურათი. ეს სურათი რთულია... ამ სურათში ჩაქსოვილია მთელი საქართველოს ნახევარი საუკუნის ისტორია, მისი თვითშეგნების განვითარება, ერთობის ქადაგება, მამულის სიყვარული, საუცხოო პოეზია და დიდებული ენა, საუცხოოა ეს სურათი, რომელსაც ყველა გრძნობს, ყველას თვალწინ უძევს; მაგრამ ამჟამად არავის ძალუძს სიტყვით გადმოგვცეს, კალმით დაგვიხატოს. ორი რამ თვალსაჩინოდ სჭარბობს ამ სურათში, სიმშვენიერე პოეზიისა და სიკეკლუცე ენისა. აკაკის ენა! ეს ის ენაა, რომლის ყველას ეშინოდა და იმავე დროს ყველას უყვარდა! ეს ის ენა არის, რომელიც ყოველთვის გულს მოგვხვდება ხოლმე და საუკეთესო გრძნობებს აგვიშლის; ეს ის ენაა, რომელიც ყველას ერთგვარად ესმის, დიდსა და პატარას; გლეხს და მუსას, განათლებულს და გაუნათლებელს. ეს ენა განსპეტაკებული ხალხური პოეზიის ენაა, ხალხური პოეზიის შვილია, მისებრ მსუბუქია, ხან ნაზია, ხან ჯადოქარი, მაგრამ ყოველთვის საყვარელია და მომხიბლავი. მე ღრმად დარწმუნებული ვარ, აკაკის რომ დედის ძუძუსთან ერთად ხალხური ჰანგები არ შეეთვისებინა, ხალხური ზღაპრები, ლექსები და არაკები არ ჩანერგოდა გულში, "აკაკი ჩვენთვის აკაკი" აღარ იქნებოდა, ქართული პოეზიის ქურუმად და

ქართული ენის მეუფედ ვერ გახდებოდა. ჩვენთვის სურთია, ხალხურმა პოეზიამ შეიპყრო და მოჰხიბლა აკაკი, თუ აკაკიმ შეიპყრო და შეითვისა ხალხური პოეზია, მაგრამ ცხადია, ესენი, ერთმანეთში გაითქვიფენ და საუცხოო რამ წარმოშვეს, აკაკის პოეზია და ენა შექმნეს.(თაყაიშვილი, 1990: 51).

აკაკის ყოველი ქართველი იცნობს. მისი ჟღერადი, ლამაზი ლექსები ყოველ ქართველს უყვარს. აკაკი დიდი ლირიკოსი პოეტი იყო და თავდავიწყებით უმღეროდა საქართველოს მშვენიერებას, მის ჰაერსა და წყალს, ბალახსა და ხეთა სიმწვანეს, დიდებულ მთებს. იგი თავისი ლირიზმით ხიბლავდა მკითხველს და სასიამოვნო თვლემით ავიწყებდა მათ თავიანთ ყოველდღიურ საზრუნავს.

აკაკი კარგად იცნობდა თავისი ქვეყნის წარსულსა და აწმყოს, მისი ბედნიერი და სახელოვანი დღეებით და გულთბილად, ლექსად გამოთქვამდა ქართველი ხალხის თავს გარდახდილს. იგი უმღეროდა გამარჯვების დიდებას და აღაფრთოვანებდა მამაც ქართველობას. ამავე დროს იგი ამათრახებდა მონობასა და გონებაჩლუნგობას.

სოფელში დაბადებული და ხალხის წიაღში გაზრდილი აკაკი ხალხის ჭირ-ვარამს საკუთრად ეკიდებოდა და ცდილობდა მის დაყუჩებას, დაამებას.

აკაკიმ უდუდესი როლი შეასრულა როგორც მშობლიურ ლიტერატურაში, ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობაში.

გაზეთი “შმაკი” (“მუშა”) სტატიაში “ქარტველი ხალხის გლოვა” წერდა: _”დღეს საქართველო ძაძებშია, მან დაჰკარგა თავისი უშესანიშნავესი შვილი, ხალხური შემოქმედებითი აზროვნების საუკეთესო წარმომადგენელი, უფრო სწორად მეორე ბრწყინვალე წარმომადგენელი შოთა რუსთაველის შემდეგ. ქართველი ხალხის საერთო გლოვა, ქართველი საზოგადოების, კულტურული და პოლიტიკური მიმდინარეობებისა და მიმართულებათა ერთიანობა პოეტის კუბოს გარშემო იმის დადასტურებაა, რომ აკაკი წერეთელი დიდი სახალხო პოეტია, ქართველი ხალხის ჭირ-ვარამის მომღერალი, მისი იმედების, ფიქრებისა და ოცნების მომღერალი”.

“კავკაზკოე სლოვოში” წერდნენ: _ “თავადი აკაკის დიდი პოეტური ტალანტი, მისი ბრწყინვალე და უბადლო გარეგნობის ლექსი, ენის სიმსუბუქე, გამოთქმის სახიერება აიძულებდა მის პრინციპულ მოწინააღმდეგეებს აღფრთოვანებულიყვნენ ახალგაზრდა “იმერელი პოეტით”.(აკაკის სამრეკლო : 40).

აკაკი წერეთლის პოეტური აზრების გარეგნული გამოხატულების სიმსუბუქე მართლაც რომ საოცარია. თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, რომელიც საკმაოდ მდიდარია პოეტური ძალებით, მრავალი მიმბაძველის მიუხედავად, მას ბადალი არ ჰყავდა , მიახლოებითაც კი.

აკაკის პოეზიის ენა ვირტუოზულობამდე მიდის, სადაც თვით ყველაზე რთული პოეტური იდეის გამოთქმის დროსაც კი, იგი ერთნაირად გასაგები და ხელმისაწვდომია როგორც მაღალი ინტელიგენტი ქართველისათვის, ასევე ჩვეულებრივი მდაბიოსათვის.

ამ გარემოებამ პოეტს უდიდესი პოპულარობა მოუტანა საქრთველოს ყველაზე შორეულ და მიყრუებულ კუთხეებშიც კი და ჭეშმარიტად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არ არსებობდა და არსებობს დღეს კიდევ გლეხის ოჯახიც კი, სადაც აკაკის სახელი განსაკუთრებული სასოებით არ წარმოითქმოდეს. პოეტის ლექსებს წერა-კითხვის უცოდინარი გლეხის გოგო-ბიჭებიც მღეროდნენ და მრავალი ამ ლექსთაგანი დიდი ხანია ხალხური შემოქმედების ნიმუშად ჩაითვლებოდა, რომ არ გვქონოდა ლიტერატურული მოწმობანი, რომ ისინი დიდი პოეტის საკუთრებაა.

არავის ისე კარგად არ ესმოდა ჩვენში სახალხო სიტყვიერების მნიშვნელობა, როგორც აკაკის. ის გრძნობდა თავის შემოქმედების ძირითად კავშირს სახალხო სახალხო პოეზიასთან და სულ იმის ცდაში იყო, როგორმე საფუძველი ჩაეყარა ხალხური სიტყვიერების შეკრებისათვის. ამ მიზნით დაარსა მან ჟურნალი “კრებული” 1897 წელს და პირველ ნომერში განმარტა ზეპირსიტყვიერების მნიშვნელობა, ლექციებიც წაიკითხა, ზოგი ნიმუშები დაბეჭდა კიდეც. აკაკის უთქვამს: “ქართველი ერი არ გაქრება, თუ მისი სახალხო პოეზია არ დაიკარგებაო”.

აკაკი უსათუოდ საუკეთესო წარმომადგენელია რეალიზმისა, ქართულ ლიტერატურაში, მის პოეზიაში, განსაკუთრებით კი ცალკეულ ლირიკულ ლექსებში ყოველ ნაბიჯზე მოსჩანს მისი უსაზღვრო სიყვარული ხალხისადმი, სამშობლოსადმი, ქვეყნის ისტორიისადმი და მშობლიური წარსულისადმი. დიდად პოეტურია აგრეთვე ცალკეული ლირიკული ადგილები მის ლექსად დაწერილ ისტორიულ დრამებში.

ვახტანგ კოტეტიშვილი აკაკის შესახებ წერდა:” ქართულ ლიტერატურაში აკაკი წერეთელი ისე არის მტკიცედ შესული და დამკვიდრებული, რომ უიმისოდ

ქართული პოეზიის წარმოდგენა თითქოს შეუძლებელიც არის. მაგრამ, ამის მიუხედავად აკაკის შემოქმედება ჯერ კიდევ არ არის ცნობაში მოყვანილი, როგორც ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტი. ეს დებულება შეიძლება სადაოდ გამოჩნდეს, მაგრამ დავის მიზეზი, ალბათ, ის უდიდესი პოპულარულობა იქნება, რომელიც აკაკის სახელს თან სდევდა, და რაც ბევრისათვის ცნობიერების ეკვივალენტს წარმოადგენს. აკაკი წერეთელი იყო სიტყვის მხატვარი, თხრობითი სტილის დიდი ოსტატი, უღრმესი ლირიკოსი, ფსიქოლოგიური დრამის ერთ-ერთი ფუძემდებელი, პოეტი-ქრონიკიორი, პუბლიცისტი, ახალი ავტობიოგრაფიული ჟანრის შემქმნელი, ფოლკლორისტი, ეთნოგრაფი, ლიტერატურული კრიტიკოსი. უპირველეს ყოვლისა პოეზიის დიდი მეტრი და შემოქმედი.(კოტეტიშვილი , 1990 : 34.)

აკაკი წერეთელი სულ ახლო მივიდა ხალხური პოეზიის პირველ წყაროებთან. ის ხარბად დაეწაფა ამ წმიმნდა წყალს და შესვა ის "უკვდავების" ძალა, რომელიც მას ჰქონდა.

ცხრათვალა წყაროს ქალწულთა შორის მგოსანის გული მხოლოდ ერთმა მუზამ დაატყვევა: ეს იყო ცელქი, ხალისით სავსე, მსუბუქ-ფრთოვანი ქალწული, რომელიც ტურფა მდელოს ამუსიკებული კისკისით ევლინებოდა. და აკაკიც, იმა ქალწულით მოჯადოებული, პოეტურ სიტყვას მუსიკალურ ნაკადათ ათამაშებდა...აკაკი სავსე იყო შთაგონების ალ-ნაკადით, და როგორც გადმოგვცემენ _ ხშირად უნდა ამდგარიყო იგი ღამით, როგორც მთვარეული, და შემოქმედებით "დაეცალა" იგი ნაკადული... და მართლაც: აკაკის ბუნება უფრო შეუცნობელია ვიდრე შეცნობილი, უფრო სტიქიური ვიდრე გამიზნული... მის სამხატვრო პროცესში თავისთავად ხდება ყოველი: თითქოს პოეტი თვალახვეული იყოს და მისი ხელით უხილავი მუზა სწერდეს; თითქოს ძილში ჰქმნიდეს იგი სახეთა და ფერადებს; თითქო სიზმრით ხსნიდეს იგი ზრახვათა ნისლოვან გუნდს... აკაკი თვითონ ბუნებაა, მაგრამ არა პირქუში და მწყრალი, ძალადი და უტეხი, არამედ მსუბუქი და მქროლავი, მჩქეფი და ცქრიალა. დილის ნიავია აკაკის მუზა, რომელიც მშვენიერების ჯეჯილს დაჰქროლს და აზურმუხტებულს დამღერის ტკბილხმოვან ნანას. აკაკი მსუბუქია, თითქმის მჩატეც, მაგრამ ნიცშეს სიტყვის არიყოს - "ყოველი ღვთიური მსუბუქი ბიჯით მიჰქროლავს". (რობაქიძე, 1990 :54).

შალვა დადიანი გადმოგვცემს აკაკის შესახე: “ფოლადი თუ კაცს არ მოხვდა და ნაპერწკლები არ გაჰყარა ისე ცეცხლი არ დაინთებაო” _ ბრზანებს ერთ თავის წერილიში ტვით აკაკი, ხოლო ცეცხლი, რომ მუდამ დალოცვილი მტერია სიბნელისა, ეს ვინ არ იცის. სიბნელე კი საშინელი იყო იმ დროს და თვით ცხოვრებაც გაკაჟებული თავის ჭირ-ვარამში...

აკაკი წერეთელმა მართლაც შეეხო თავისი სათუთი საქმით ხალხის გულს, გამოუძებნა მისი სატკივარი და თუ ერთის მხრით ამბობდა: “ჩამომეხსენ ოსმალელნო, რა გაქვს ჩემთან საზიაროვო”, ესე იგი თუ ერთის მხრით სწუხდა, რომ მისი ხალხი მედგარ პოლიტიკურ უღელში იყო მონად გაბმული, მეორე მხრით მან უმღერა პირველი ნანინა “გაპუტულ გლეხის შვილს”. მან ორივე დიდი ფაქტორი მაშინდელის ჩვენის ცხოვრებისა უცნაურად უცნაურად შეიგრძნო და ორივეს თავისი საპროტესტო, მახვილი კალამი შეახო. (დადიანი, 1990 :80).

II. ქალის კულტის ისტორიულ-ლიტერატურული გენეზისი

ქალის ავტორიტეტი მუდამ მაღალი იყო საქართველოში. ძველი ქართველი დედები თავიანთი სულიერი სიძლიერით და გონებრივი სიმაღლით მამაკაცებს თავს ახრევინებდნენ.

ქართველი მანდილოსანი გამოირჩეოდა გარეგნული სილამაზით, დედაშვილობის განსაკუთრებული გრძნობით, კდემამოსილებით, სიდარბაისლით, გონიერებით, თავდადებით ქრისტიანული რწმენის და ქართული ჯიშის გადასარჩენად. ვის არ განაცვიფრებდა საქართველოს ქრისტიანობაზე მოსაქცევად თავდადებული მოციქული ნინო, “სამგზის სანატრელი” თამარ მეფე, რომლის ხელმწიფობის პერიოდში სიკვდილით არავინ დასჯილა, დიდმოწამე წმინდა ქეთევანი, არნახული მოწამეობრივი აღსასრულით მთელი მაშინდელი ქრისტიანული სამყარო რომ შეძრა, და კიდევ სხვა მრავალი.

დიდებული აკაკი ბრძანებდა, თუ რომელიმე ხალხის გაცნობა გინდა, იმ ქვეყნის ქალები უნდა გაიცნო და შეისწავლოო. “თუ რომელიმე ხალხის გაცნობა გინდა, იმ ქვეყნის ქალები უნდა გაიცნო, შეისწავლო... ისინი არიან თავისი ქვეყნისა და ხალხის მაჩვენებელი, როგორც ბიომეტრი ტაროსის. და იმ ისტორიულ საოცრებაში, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ განიცადა, არათუ წილი უძევთ ჩვენს დედებს, კიდევაც აჭარბებენ მამაკაცებს... ისინი იყვნენ მათი აღმზრდელები; უხსოვარი დროიდანვე, ჯერ კიდევ კერპობის დროს, სახელგანთქმული იყვნენ ქართველი ქალები, მაგალითად: მედეა მთელი საბერძნეთისგან გრძნეულად მიღებული და ლეგენდარული ქალი, და ქრისტიანობამ მთლად დააგვირგვინა ქართველი ქალის უფლება.”(აბდალაძე, 2009 : 5)

ილია ამბობდა: “ქართველებისთვის დედა მარტო მშობელი არ არის, ქართველი ღვიძლ ენასაც “დედაენას” ეძახის, უფროს ქალაქს “დედაქალაქს”, მკვიდრსა და დიდ ბოძს “დედაბოძს”, უდუდეს და უმთავრეს ბურჯს “დედაბურჯს”, სამთავრო აზრს “დედააზრს”. (აბდალაძე, 2009 :4.)

როგორც ზემოთ ვახსენე, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებამდეც იყვნენ გამორჩეული და სახელგანთქმული ქალები, ერთ-ერთი ასეთია მედეა. მედეაზე უმრავი მითი, ლეგენდა და თქმულება შეიქმნა ძველ დროს. იგი ბერძნებმა მისტიკურ და გრძნეულ არსებად აღიარეს.

უამრავი მწერლის შემოქმედების წყარო გახდა კოლხი ქალის სახე და ქმედებანი. არაერთ თქმულებაში მედეა თავისი ხასიათით ნამდვილი კოლხი (ქართველი) ქალია: ლამაზი, შეუპოვარი, ოჯახის ერთგული და მოღალატე ქმრისადმი დაუნდობელი, მოსიყვარულე, ენერგიული.

ამიტომაც იქცა ერთი პერიოდი საბერძნეთში მედეა თითქმის კულტად _ მის სახელზე ტაძრებს აგებდნენ, მას ლექსებს უძღვნიდნენ, გმობდნენ, ამართლებდნენ.

კოლხ ქალთა სიმამაცეს და სიტურფეს არაერთი ბერძენი მწერალი უმღერის ანტიკურ ხანაში. თვით დიდი ესქილე “მიჯაჭვულ პრომეთეში” წერს ერთგან: “კოლხეთის გმირნი, ყმაწვილნი, ქალნი, ომში მამაცნი და უშიშარნი”

ჩვენს გამოჩენილ, უდიდეს მწერალსაც, აკაკი წერეთელს, აქვს მიძღვნილი ლექსი მედეაზე. აკაკისავე მიხედვით მედეა ბოლოს გმობს თავის ქმედებას მამის მიმართ. ბრუნდება კოლხეთში, ურიგდება მამას და ეხმარება კიდეც დაკარგული ტახტის

დაბრუნებაში. საბოლოოდ, მაინც სამშობლოს მიწამ მიიბარა ტანჯული მედეა სამარადისოდ.

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ქართველი ქალების თავდადება, სიმტკიცე, სიმამაცე და ბრძოლისუნარიანობა ორმაგად გამოჩნდა და დაფასდა.

ქრისტიანობის გავრცელების პირველ ხანებშივე ჩვენი ქვეყანა ღვთისმშობელს ერგო საქადაგებლად და ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოსაქცრვად. საღვთო წერილის თანახმად, ივერია ღვთისმშობლის წილხვედრია. როცა მოციქულები წილს იყრიდნენ თუ, ვის რომელ მხარეში ექადაგა ქრისტეს რჯული, ღვთისმშობელს საქართველო ხვდა წილად, მაგრამ დედაღვთისას უფალი გამოეცხადა და აუწყა, რომ არ დაეტოვებინა წმინდა მიწა, იერუსალიმი, რადგან ცოტა ხნის შემდეგ მას უფლის სიტყვა უნდა ეხარებინა იქ, სადაც უფალი მიიყვანდა, ხოლო მისი წილხვდომილი ქვეყანა განათლდებოდა მომავალში და მისი მეუფება განმტკიცდებოდა იქ. ამის შემდეგ, ქალწულმა მარიამმა უხმო ანრია მოციქულს და გადასცა თავისი ხეთუქმნელი ხატი და გააგზავნა საქართველოში საქადაგებლად.

საქართველო რომ ღვთისმშობლის მფარველობის ქვეშ იმყოფება, ეს ღვთის დიდი წყალობაა, მაგრამ ამავდროულად უდიდესი პასუხისმგებლობაც. წყალობას, მადლიერების გარდა, ღირსეულად მიღებაც სჭირდება, რადგან წყალობა მხოლოდ მაშინაა ჯილდო, როცა ერთგულად მსახურებ უფალს.

უდაო ფაქტია, რომ მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, სადაც უპირველესი განმანათლებელი, უდიდესი წამებული და უთვალსაჩინოესი წინამძღოლი ერისა ქალები ყოფილიყვნენ, გარდა საქართველოსი.

_წმ. ნინო, მოციქულთა სწორი, ქართველთა განმანათლებელი - დაიბადა კაბადოკიაში.

გენეტიკურად მოსდგამდა, ალბათ, წმინდანს კდემამოსილება, სისპეტაკე, გულწრფელობა, თავდადება მოყვასისათვის, ქრისტიანული მოძღვრებითა და რწმენით კიდევ უფრო განმტკიცებული და გაძლიერებული. ამიტომ იყო წმ. ნინო სამაგალითო, მიბაძვის საგანი და ხასიათის ჩამომყალიბებელი სახელოვან ქართველ ქალთა შემდგომი პლეადებისა.

ბავშვობიდანვე ნინო ღვთისმოშიში და ღვთისმოყვარე იყო. იგი უდიდეს ცნობისმოყვარეობას ამჟღავნებდა ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების მიმართ. დედაც დაუზარლად უამბობდა ასულს ქრისტეს შობის, ჯვარცმის, დაკრძალვის და აღდგომის, მისი სამოსელის, სუდარისა და ჯვრის შესახებ.

12 წლის იყო ნინო, როდესაც მისი აღზრდა დედის ძმამ, იერუსალიმის პატრიარქმა, იკისრა.

წმ. ნინო რომში წავიდა. იგი დაუახლოვდა მეფათა ნათესავებს რიფსიმეს და მის დედამძუძეს გაიანეს. მალე ორივე ქრისტიანულ რწმენას აზიარა, ამის შემდეგ ორმოცდაათი დედაკაცი კიდევ მოაქცია ქრისტეს რჯულზე. ამასობაში რომის იმპერატორმა, დიოკლეტიანემ, მორიგი ხოცვა-ჟლეტა გაუმართა ქრისტეს რჯულის მიმდევრებს. წმ. ნინო, რიფსიმე და გაიანე იზულებულნი გახდნენ, შორს გადახვეწილიყვნენ და თავი სომხეთს შეაფარეს. რიფსიმე და გაიანე იქ დარჩნენ და სომეხთა გაქრისტიანებას შეუდგნენ, ხოლო წნ. ნინომ, რაკიღა ახლოს იყო მცხეთასთან, მტკიცედ გადაწყვიტა, აესრულებინა სიყრმის ოცნება _ ჩასულიყო მცხეთას, ეხილა ის ადგილი, სადაც ქრისტეს კვართი ეგულებოდა და იქაურები ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოექცია.

პირველად წმინდანი ჯავახეთს მივიდა და ფარავნის ტბასთან მწყემსებს და მეფეებს დაწვრილებით გამოჰკითხა სადაურები იყვნენ და რაგზით უნდა მიეღწია მცხეთამდე.

მალე წმ. ნინო ქართლს მიუახლოვდა, ურბნისში შეჩერდა და იქ იხილა კერპებს მსახური ერი. მალე იქიდან მთელი ხალხი მცხეთისკენ დაიძრა. ხალხის დინებას თვალცრემლიანი წმ. ნინოც შეუერთდა. იგი აშკარად ხედავდა და სასტიკად განიცდიდა ამ ხალხის წარწყმედას.

მცხეთაში, არმაზის ციხესთან წმ. ნინომ იხილა არმაზის კერპი და ხალხი, რომელიც კერპს ეთაყვანებოდა და ლოცულობდა. ამ ყველაფრის მნახავმა, გულმხურვალედ ილოცა, ქრისტე ღმერთს შეავედრა წარმართი ერი და ყოვლადძლიერს შესთხოვა მოეხდინა სასწაული.

დაასრულა თუ არა ლოცვა წმინდანმა, უმალ ამოვარდა ქარიშხალი, მოვიდა სეტყვა და დელგმა, რამაც გაანადგურა კერპები. შეშფოთებული ხალხი თავშესაფარს ეძებდა, წმ. ნინო კი დარჩა და განაგრძობდა ლოცვას ერის გადასარჩენად.

ბოლოს წმინდა ნინო ჩავიდა მცხეთაში და იქ მეფის ოჯახის მებაღეს შეეკედლა. ოჯახს შვილი არ ჰყავდა, რასაც ცოლ-ქმარი ძლიერ განიცდიდა, წმ. ნინოს ლოცვითა და კურთხევით მალე ოჯახში პატარა გაჩნდა, გახარებული ოჯახი ქრისტეს ჭეშმარიტ სარწმუნოებას ეზიარა.

მის შემდგომ წმ. ნინომ ქალაქის ზღუდის გარეთ შეარჩია მაყვლოვანით დაფარული ადგილი და იქ დაბინდა. იქ შექმნა მან ვაზის ნასხლევისაგან ჯვრის გამოსახულება და ფარულად ლოცულობდა სამი წელი, მრავალს კურნავდა მისი ლოცვა-კურთხევით. ამ ხნის განმავლობაში, სასწაულებრივი კურნების ძალის წყალობით, წმინდანმა დაიმოწმა შვიდი ქალი.

სახელი ახალი რჯულის მქადაგებლისა და უებარი მკურნალისა სწრაფად მოეფინა მცხეთას და მის შემოგარენს. იმხანად თავად ქართლის დედოფალი ნანა მძიმე სენს შეეპყრო და საქვეყნოდ ცნობილნი მკურნალიც კი ვერას შველოდნენ.ბოლოს დედოფალმა ინება ახალი რჯულის მქადაგებლი და მკურნალი მოეხმოთ. წმ. ნინომ თავისთან მიიწვია დედოფალი ნანა და ლოცვითა და კურთხევით გამოაჯანმრთელა იგი.

მადლიერი დედოფალი ნანა ჭეშმარიტ სარწმუნოებას ეზიარა, ხოლო მეფე მირიანი კვლავ კერპებს სცემდა თაყვანს და განიზრახა კიდეც დედოფლის სამაგალითოდ დასჯა. სწორედ ამ დროს მოწმე გახდა იგი დიდი სასწაულის.

ერთ დღეს სანადიროდ წასული მირიანი ამალას ჩამოსცილდა და თხოთის მწვერვალზე მარტო ასვლა ინება, რათა კიდევ ერთხელ თვალი შეევლო თავისი საბრძანისთვის. როგორც კი მეფემ მწვერვალზე ფეხი შედგა, უცებ მზე დაბნელდა და ირგვლივ უკუნი ჩამოწვა. შეშინებულმა მირინმა თავის ღმერთებს უხმო საშველად, ამაოდ. მაშინ კიდევ უფრო შეშინებულმა და დამფრთხალმა მეფემ წმინდა ნინოს ღმერთს სთხოვა შველა. სასწაული მოხდა, გარემო განათდა.

განცვიფრებული და მადლიერი მეფე მირიანი წმ. ნინოსთან მივიდა, ჭეშმარიტი ღმერთი _ ქრისტე ირწმუნა და საბერძნეთს დესპანი გაგზავნა, რათა კეისარს ახალი სარწმუნოების მსახურნი გამოეგზავნა ქართველთა გასაქრისტიანებლად.

სანამ საბერძნეთიდან მოძღვარნინ ჩამოვიდოდნენ , მირიან მეფემ განიზრახა, აეგო ქრისტიანული ტაძარი. წმ. ნინოს რჩევით, მშენებლოდა დაიწყო სწორედ იქ, სადაც

სამისაუკუნის წინ დაკრძალეს სიდონია ქრისტეს კვართით ხელში. იმ ადგილას, როგორც ცნობილია აღმოცენდა ნაძვის ხეები და მათ შორის შორის უზარმაზარი კვიპროსი. ხეები მოჭრეს, სვეტებად დადგეს და ტაძრის მშენებლობა დაიწყეს. ექვსი სვეტი თავისუფლად აღმართეს მეშვიდეს კი ძვრა ვერ უქნეს. მაშინ წმ. ნინომ მთელი ღამე ილოცა, შედეგად უცხო ჭაბუკი მოვიდა, სვეტი აღმართა და დააფუძნა.

მეფის ბრძანებით და წმ. ნინოს კურთხევით საბერძნეთის მოძღვრებმა მტკვარი აკურთხეს და ქართლი განანათლეს. მთებში მცხოვრებნი მაინც მტკიცედ იდგნენ და თაყვანს სცემდნენ კვლავ კერპებს. მეფე მირიანმა განიზრახა ისინი ხმლის ძალით მოექცია ქრისტეს რჯულზე, მაგრამ წმ. ნინო და ეპისკოპოსი იოანე წინ აღუდგნენ და უთხრეს: ღმერთს არ უბრძანებია ჩვენთვის ჭეშმარიტი გზის მახვილით მიღწევა, არამედ სახარებით და ჯვრითო.

წმ. ნინო ქართლში მოღვაწეობის თოთხმეტი წლის შემდეგ ბოდბეში დამკვიდრდა, იქ გარდაიცვალა და ანდერძისამებრ იქვე დაკრძალეს,

წმინდა ნინოსთან ერთად უნდა ვახსენოთ ასევე წმინდა სალომე უჯარმელი, რომელიც წმინდა ნინოს ერთ-ერთი უახლოესი თანაშემწე იყო.

სალომე უჯარმელი მირიან მეფის ვაჟის, რევის ცოლი და სომხეთის მეფე თრდატის ასული იყო.

ქართლის მოქცევის შემდეგ, წმინდა ნინოს შთაგონებითა და მეფე მირიანის ბრძანებით, წმინდა სალომემ უჯარმაში პატიოსანი კვარი აღმართა. წმინდა სალომე უჯარმელმა და პერაჟავრი სივნიელმა ჩაწერეს ქართველთა განმანათლებლის, წმინდა მოციქულთასწორი ნინოს ცხოვრება.

ასევე, აქვე მინდა ვახსენო V საუკუნის ქართული ჰაგიოგრაფიის ძეგლის “შუშანიკის წამების” უმთავრესი პერსონაჟი, შუშანიკი, რომელმაც სარწმუნოების დასაცავად საკუთარი სიცოცხლეც კი არ დაიშურა და უამრავი დამცირება, ღალატი და ძალადობა აიტანა საკუთარი ქმრის მიერ მიყენებული. შუშანიკი უძლიერესი, საკუთარი ეროვნებისა და რელიიგის დიდი მოსიყვარულე და პატივისმცემელი, საკუთარი პრინციპებისა და მორალის ბოლომდე დამცველი, ღვთისმოშიში და მორწმუნე, დიდი ნებისყოფის მქონე პიროვნებაა. მან ქრისტეს რჯული ბოლომდე დაიცვა და ამის გამო მოწამეობრივად აღესრულა კიდეც.

ქართველ გამოჩენილ და სათაყვანებელ ქალთა შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია ჩვენს დიად მეფეთა მეფედ წოდებულ, სამგზის სანატრელ _ თამარ მეფეს. ცნობილი მეცნიერის მიქელ თარხნიშვილის თქმის დაკვალად - “მსოფლიოში არ არსებობს ქალი - ხელმწიფის სხვა იდეალი, რომელიც ისე ამაღლდა, როგორც თამარ მეფე.”

ჩვენამდე მოღწეულია თამარ მეფის შესახებ დაწერი საისტორიო ხასიათის სახოტბო თხზულებანი - ჩახრუხაძის “თამარიანი”, იოანე შავთელის “აბდულმესიანი” და უცნობი ავტორის “ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი”. ეს თხზულებები შექმნილი უნდა იყოს XII-XIII საუკუნეებში. “თამარიანში” და “ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი”-ში ხოტბის მთავარი გმირია თამარ მეფე. თხზულებები დაწერილი უნდა იყოს თამარის ზეობის ხანაში. კომპოზიციურად “თამარიანი” წარმოადგენს ცალკეული ოდების კრებულს, რომელსაც ახასიათებს საერთო იდეური მიზანდასახულობა და ქების ობიექტი: თამარ მეფე, მისი მეღლე დავით სოსლანი და ვაჟი ლაშა-გიორგი. თხზულებაში აღწერილია თამარ მეფის ქველი საქმეები. თამარის გარეგნულ მშვენებასთან ერთად, რაც აღნიშნულია იმ ეპოქის სხვა თხზულებებშიც, რომლებიც უკვე ზემოთ დავასახელი, გადმოცემულია მეფის სამაგალითო პირადი ღირსებებიც. იგი წარმოდგენილია როგორც სახელოვანი წინაპრების დიდებულ საქმეთა ჭეშმარიტი მემკვიდრე, ძლიერი ქართული სახელწიფოს ურყევი ბურჯი.

მე-12 საუკუნის დასასრულს საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა ქალი _ თამარი. ქალის გამეფება იმ დროს უჩვეულო რამ იყო, ზოგი ქართველიც ფიქრობდა, რომ თამარი ვერ გაუძღვებოდა სამეფო საქმეებს, მაგრამ თამარმა კეთილგონიერებითა და სიბრძნით მალე ყველა დაარწმუნა, რომ ჩინებულად შეეძლო ქვეყნის მართვა. მეფე-ქალმა თავის გარშემო შემოიკრიბა ბრძენი სწავლულები, მამაცი და გამოცდილი სარდლები. მეფე უსმენდა მათ რჩევებს და ამიტომაც საუკეთესო გადაწყვეტილებებს იღებდა. თამარის დროს ძლევამოსილი ქართული მხედრობა მტკიცედ იცავდა ქვეყნის საზღვრებს და მტერს შიგნით შემოჭრის საშუალებას არ აძლევდა.

თამარის სახელი შორს იყო განთქმული, საქართველოს მეზობელი ქვეყნების მმართველები მეფე ქალს ერთგულებას ეფიცებოდნენ. თამარიც არ იშურებდა მათთვის წყალობას და მფარველობას უწევდა, საჭიროების შემთხვევაში ჯარითაც ეშველებოდა. სწორედ ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის გამო შირვანის შაჰის დასახმარებლად თამარის ძლევამოსილმა ლაშქარმა დიდი ბრძოლა გადაიხა ქალაქ შამქორთან.

თამარი ყურდღებით ადევნებდა თვალს საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებას და ცდილობდა, მეზობელ ქვეყნებში მომხდარი მოვლენები თავისი ქვეყნის სასარგებლოდ გამოეყენებინა. თამარმა თურქებს არ მისცა საშუალება ბიზანტიის სამფლობელოში შემავალი ქართული მიწების დაპყრობისა, იქ ბიზანტიის მემკვიდრე სახელმწიფო _ ტრაპიზონის იმპერია დაარსა და ტახტზე თავისი ნათესავი, ბიზანტიის იმპერატორთა ჩამომავალი ალექსი კომნენოსი დასვა. ამ ნაბიჯით მან ჩვენს ქვეყანას უშუალო მეზობლად კეთილგანწყობილი და ძლიერი, ამასთანავე მაღალი კულტურის მქონე პოლიტიკური მოკავშირე შესძინა.

თამარის მეფობის დროს ქვეყანა უფრო აყვავდა. მეფე-ქალმა ააშენა ახალი ეკლესიები, შეამკო ისინი მოხატულობით, წმინდა ხატებითა და ძვირფასი ხელნაწერებით; ააგო თავშესაფრები და საავადმყოფოები სნეულთა და მოხუცთათვის, გაიყვანა გზები, ხიდები და სარწყავი არხები. ამ დროს ქვეყანა დოვლათით აივსო, აღარავინ იყო ღარიბი, ყველას საკმარისად ჰქონდა პური და ღვინო. ხალხიც დაცულად გრძნობდა თავს და ცხოვრობდნენ მშვიდად - შრომაში, გარჯასა და ლხენაში. ამ დროს დიდად იკლო დანაშაულებებმა. დიდმოწყალე თამარმა სიკვდილით დასჯაც კი გააუქმა.

თავისუფალ დროს მეფე-ქალი ქარგავდა და ქსოვდა, შემდეგ კი თავის ნამუშევრებს ეკლესიებს სწირავდა. ხალხი აქებდა სამართლიან და მოწყალე მეფეს, თქმულებებითა და ლეგდებით ამკობდნენ მის სახელს. იმდროინდელი პოეტები თამარს ხოტბას ასხამდნენ. შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსანიც” თამარისადმია მიძღვნილი, რომელზეც შემდგომ ვისაუბრებ.

თამარის დროს ქართველმა მეომრებმა მოიგეს ერთ-ერთი ცნობილი ომი, რომელიც ბასიანის ომის სახელითაა დღეს ცნობილი. ბრძოლის ველისაკენ მიმავალ

ჯარს მეფე თამარი, ჯვრით ხელში, ვარძიამდე ფეხშიშველა მიუძღოდა თურმე ჯარს. მაშინ საქართველო კიდევ ერთხელ გადაურჩა დამანგრეველ ძალას. ქართულ სახელმწიფოსა და მეფეს, თამარს კიდევ უფრო შეემატა სახელი და დიდება.

თამარი ორჯერ იყო დაქორწინებული. პირველად რუსეთის დიდი მთავრის ანდრია ბოგოლიუბსკის ძეს გიორგის მიათხოვეს, მაგრამ ეს ქორწინება უირბლო გამოდგა და თამარი მალე გაშორდა მას. მეორედ ოს უფლისწულზე - დავით სოსლანზე დაქორწინდა, რომელიც დედით ბაგრატიონთა ჩამომავალი იყო. დავით სოსლანი ღირსეული მეუღლე იყო თამარისა.

აქვე უნდა ვახსენოთ თამარ მეფის დროს სახელმწიფო კარზე მოღვაწე ღირსეული დიპლომატი ქართველი მანდილოსნები კრავაი ჯაყელი და ხვაშაქ ცოქალი, რომელთა სიბრძნემ და გამჭრიახობამ განაპირობა დიდებულ ფეოდალთა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი აჯანყების მშვიდობიანად დასრულება.

1184 წელს ფეოდალურ სამყაროში მოხდა მნისვნელოვანი ფაქტი, საქართველოს სამეფო თახტზე ავიდა ქალი, რომელი დიდებულებმა გამორჩეულად აკურთხეს, მაგრამ საკუთარი მოთხოვნებიც წაუყენეს. ისინი ითხოვდნენ გვაროვნული არისტოკრატიის უფლებების განმტკიცებასა და სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას. ამ ხაზის გამტარებელი და აჯანყების მეთაური იყო ერთ-ერთი გავლენიანი მოხელეთაგანი, საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი. მან შეადგინა საკუთარი პარტია, მოითხოვა ისაწში “კარავის დადგმა, რომელსაც ექნებოდა საპარლამენტო უფლებები, ხოლო მეფეს მხოლოდ აღმასრულებელი ძალაუფლება რჩებოდა. საყურადღებო იყო ისიც, რომ ყუთლუ-არსლანმა გადაიბირა ჯარის ნაწილი და სამხედრო დაპირისპირებით ცდილობდა თავისი ზრახვების განხორციელებას. ზოგიერთი ცნობით, მას ამირსპასალარობაც სურდა. მდგომარეობა უკიდურესად დაძაბული იყო. რასაკვირველია, თამარისათვის არანაირ სიძნელეს არ წარმოადგენდა განდგომილთა შეპყრობა და სასტიკად დასჯა, მაგრამ მან სხვა გადაწყვეტილება მიიღო _აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა ორი დიდებული ქალბატონი: ქართლის ერისთავის, რატი სურამელის დედა - კრავაი ჯაყელი და სამძივართა დიდებული გვარის წარმომადგენელი - ხვაშაქ ცოქალი. უსიამოვნების გასაქრობად თამარმა მოლაპარაკების გზა აირჩია და

აჯანყებულებს მოუწოდა რომ დაეყარათ იარაღი, დამშვიდებულიყვნენ და დედოფალი აპატიებდა მათ დანაშაულს. თამარის გონიერმა საქციელმა სასურველი შედეგი გამოიღო: მანდილოსანთა მოციქულობამ იმდენად იმოქმედა მეამბოხეებზე, რომ დაყარეს იარაღი და მაშინვე შეასრულეს დიდებულის ბრძანება, მივიდნენ მეფე თამართან, პატიება სთხოვეს და ერთგულება შეჰფიცეს.

ხვაქშაქ ცოქალი და კრავაი ჯაყელი ჭეშმარიტად ღირსეულ ადგილს იკავებენ ქართული დიპლომატიის ისტორიაში.

ახლა კი, რადგან თამარ მეფეზე ვსაუბრობ, არ შეიძლება არ აღვნიშნო მეფე-ქალის მიმართ მიძღვნილი ქართველების სიამაყე და "ხელისხელსაგოგმანები" "ვეფხისტყაოსანი".

"ვეფხისტყაოსანში" დახატული ქალი პერსონაჟები არაფრით ტოლს არ უდებენ მამაკაცებს: არც გარეგნობითა და ღირსებით, არც ჭკუითა და სიბრძნით, არც ვაჟკაცობითა და მრისხანებით, არც ერთგულებითა და სიყვარულის ნიჭით, გასაგები გახდება, რომ რუსთველისეული "ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს თუნდა ხვადია" მხოლოდ თეორიულად დეკლარირებული ლოზუნგი არ არის. პოემაში მის პრაქტიკულ ხორცშესხმას ვხედავთ. საოცარ ქალებს გვიხატავს რუსთაველი, ქალებს, რომელთათვის დამახასიათებელია ერთდროულად სინაზეცა და მრისხანებაც, ქალური კეკლუცობა და კდემამოსილება, ვაჟკაცობა და სიმამაცე, სამშობლოს სიყვარული და მიჯნურისადმი ერთგულება, რაც მთავარია, არცერთი ქალი არ არის დახატული აბსოლუტურად უარყოფითად. თვით ბოროტების განმასახიერებელ დავარ ქაჯს, რომელმაც ინდოეთს მზე, ნესტანი დაუკარგა, გააჩნია დადებითი თვისებები: ის ბრძენია, თავმოყვარე, ამაყი და უშიშარი ქალია. მან თავისი დანაშაულისთვის პასუხი აგო, თავი მოიკლა, როცა გაიაზრა მის მიერ ჩადენილი ცოდვის სიმძიმე.

გავიხსენოთ კიდევ ერთი წარმომადგენელი ქაჯეთისა, დედოფალი დულარდუხტი, კლდესავით მაგარი ქალი. დულარდუხტი ზრდის ადრე დაობლებულ ძმისშვილებს: როსანსა და როდიას. ის ამაყი და შეუბრალებელი დედოფალია. ის, რომ დულარდუხტი ძლიერი დედოფალია, გვიჩვენებს, მისი გამაგრებული ციხე-ქალაქი, საუკეთესო მეომრები და ქაჯთა სახელი, რომელიც

შიშის ზარს სცემს მტრებს. ეს ბოროტების მხარეს მდგომი პერსონაჟები არიან, მაგრამ თავიანთი დადებითი თვისებებით ისინიც კი იწვევენ გარკვეულ სიმპათიას. ახლა კი, ვისაუბრებ როგორი არიან სიკეთის განმასახიერებელი ქალი პერსონაჟები. პოემა ნესტანის სახელს ატარებს, უფრო ზუსტად, ამ სათაურში სიმბოლურად დაშიფრულია მიჯნურების, ნესტანისა და ტარიელის, სახელები. ნესტანი ინდოეთის მეფის, ფარსადანის, ქალიშვილია. უმშვენიერესი, ვისი სილამაზე და ელვარება მზესაც კი შუქს ართმევს. ნესტანი ჰაეროვანი, ნაზი, სიყვარულისა და ალერსისათვის გაჩენილი ქალია, კდემამოსილი, მორცხვი. მაგრამ ეს ნაზი და მორცხვი ასული განრისხებულ, პირგამეხებულ, საბრძოლველად შემართულ ვეფხვად იქცევა, როცა მისი და მისი სამშობლოს თავისუფლლებას, მის სიყვარულს შეექნება საფრთხე. ნესტანისა და ტარიელის თათბირის ეპიზოდში შესანიშნავად გამოჩნდა ნესტანის ხასიათის მრავალფეროვნება, მისი სიმამაცე, სამართლიანობის განცდა, პატრიოტიზმი, პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა და, რაც მთავარია, ქალური ღირსების გრძნობა. სამშობლოს განსაკუთრებულ სიყვარულს ნესტანი ყოველთვის ავლენს. ტარიელისადმი მიწერილ პირველ წერილში ის საყვედურობს მას მიჯნურობის გამო ცრემლების ღვრას და მოუწოდებს ინდოეთის მტრების წინააღმდეგ ვაჟკაცური ბრძოლითა და გამარჯვებით დაუმტკიცოს თავისი სიყვარული სატრფოს. ნესტანი უერთგულესი მიჯნურია, ვისთვისაც სატრფოს სიცოცხლე საკუთარზე ძვირფასია. ქაჯეთის ციხიდან ის ეევედრება ტარიელს, არ შეებრძოლოს დაუმარცხებელ ქაჯებს, თავისი სიცოცხე საფრთხეში არ ჩააგდოს. შეუძლბელია უფრო მეტი ვაჟკაცური სული ჰქონდეს ადამიანს, ვიდრე ეს ნესტანს გააჩნია. ის არასოდეს ეძლევა სასოწარკვეთას, ცდილობს იპოვოს გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან. ნესტანში ჰარმონიულადაა შერწყმული ფიზიკური და სულიერი მშვენიერება, ის ღირსეული, ბრძენი ქალია, რომელსაც შეუძლია იყოს ერთდროულად ნაზიცა და მრისხანეც, გონიერიცა და იმპულსურიც, სწორედ ამაშია მისი განსაკუთრებული მომხიბვლელობა.

ნესტანის გვერდით “ვეფხისტყაოსანში” ვხვდებით კიდევ ერთ გამორჩეულ პერსონაჟს _ თინათინს. თინათინი გამოირჩევა გაწონასწორებული, დინჯი, მშვიდი ბუნებით. იგი გამოირჩევა განსაკუთრებული სილამაზითაც, რომელსაც ავტორი მზეს

ადარებს. თინათინის ხასიათის ბუნების გასაგებად საინტერესოა მონაკვეთი, როდესაც თინათინი ავთანდილს უცხო მოყმის სანახავად გზავნის. აქ ვხედავთ კეკლუც ქალს, ვისაც მხნე სპასპეტის მოხიბვლა გადაუწყვეტია, ამაზე მიგვანიშნებს მისი ჩაცმულობა. ამ ეპიზოდში თინათინი თავად უმხელს სიყვარულს ავთანდილს, ეფიცება, რომ მის გარდა ცოლად არავის გაყვება და მხოლოდ ამის შემდეგ აძლევს რთულ დავალებას - მოძებნოს უცხო მოყმე. თინათინს კონკრეტული არგუმენტებიც მოჰყავს, თუ რატომ უნდა წავიდეს მაინც და მაინც ავთანდილი ამ მოყმის საძებნელად. პირველი, ის არაბეთის მეფის ყმაა და პატრონის ბრძანება უნდა შეასრულოს, მეორე, მისნაირი ვაჟკაცი რაინდი სახელმწიფოში სხვა არ ჰყავთ და მესამე, ის თინათინის მიჯნურია და საგმირო საქმით უნდა დაუმტკიცოს სიყვარული სატრფოს. თინათინი ერთგული მიჯნურიცაა და კარგი მეგობარიც. როდესაც ავთანდილმა გაუმხილა, რომ ტარიელის დასახმარებლად აპირებდა წასვლას, მან მოუწონა გადაწყვეტილება. თინათინის გონიერების მაჩვენებელია ისიც, რომ მან ღირსეული რაინდი შეიყვარა ავთანდილის სახით. ის ყოველმხვრივ მშვენიერი ქალია, ღირსეული მემკვიდრე როსტევან მეფისა.

კიდევ ერთი გამორჩეული ქალი პერსონაჟია "ვეფხისტყაოსანში" ასმათი. უერთგულესი მეგობარი ტარიელისა და ნესტანის და ამ მშვენიერი წყვილის სიყვარულის ჩასახვიდან დაწყებული ბედნიერ დასასრულამდე მათ გვერდით მდგომი. ის შუამავალია შეყვარებულებს შორის, მათი მესაიდუმლეა, ამასთან მუდმივად იცავს მგრძნობიარე ტარიელს, იმედს უნერგავს, ცდილობს მშვიდობიანად მოაგვაროს მიჯნურებს შორის არსებული გაუგებრობები. ასმათი გამოირჩევა სიდინჯით, გონიერებით და წინდახედულებით.

"ვეფხისტყაოსნის" კიდევ ერთი განსხვავებული, თუმცა უაღრესად კოლორიტული სახე-ხასიათია ვაჭართა უხუცესის, უსენის მეუღლე, ფატმან-ხათუნი. მართალია, რუსთაველი მის დასახატავად მზესა და მთვარეს არ იყენებს შედარება-მეტაფორად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფატმანიც ძალიან მიმზიდველი, სიცოცხლით სავსე, მხიარული ქალია. ფატმანი ამქვეყნიურ სიამეთა მოყვარულია, არ იკლებს გართობას და ლხინს, უყვარს კარგი მასპინძლობა და სტუმრებთან მხიარულობა. რუსთაველი არასოდეს ხატავს ადამიანს მხოლოდ დადებით ან

უარყოფით პერსონაჟად, ის ცდილობს მასში დაინახოს კარგიც და ცუდიც. ასეა ფატმანის შემთხვევაშიც. ვაჭართა უფროსის ცოლს აქვს რამდენიმე თვისება, რითაც ის ჩვენს სიმპათიას იმსახურებს. ჯერ-ერთი, მას გააჩნია მშვენიერების დანახვა-აღქმის და დაფასების უნარი. ამის მაჩვენებელია მისი ნესტანისადმი დამოკიდებულება. მას შეუძლია უერთგულოს ნესტანს, იყოს უხვი. ფატმანმა დიდი დახმარება გაუწია ავთანდილს, ფაქტობრივად აპოვნინა ნესტანი. ასე, რომ ფატმან ხათუნი ვაჭართა წრის ტიპიური წარმომადგენელია, თავისი საეჭვო მორალით, თუმცა მას აქვს დიდი, თბილი და მოსიყვარულე გული, შეუძლია ერთგულებაც და უანგაროდ მხარში დგომაც.

"ვეფხისტყაოსანში" დიდოსტატურადაა დახატული ქალთა მრავალფეროვანი სახე-ხასიათები. მათ გალერეას ამშვენებს ერთდროულად ნაზი და მრისხანე ნესტან-დარეჯანი, ბრძენი და გაწონასწორებული მზე-თინათინი, ერთგული მეგობარი ასმათი, ვაჭართა უხუცესის მიმზიდველი მეუღლე ფატმან-ხათუნი, ქაჯთა ძლიერი ქალები: დედოფალი დულარდუხტი და დავარი.

რელიგიური ასპექტით, ჩვენი სახელოვანი ქალების გვერდით დგას ასევე ქეთევან დედოფალი (წამებული). ჩვენთვის ცნობილია ქეთევან დედოფლის თავდადება და თავის გაწირვა ქრისტიანობის გამო. იგი შემდეგ სიტყვებს ამბობს როდესაც მას ურჩევენ რომ მაჰმადინობა მხოლოდ გარეგნულად მიიღოს ხოლო გულით მაინც ქრისტიანობას ატარებდეს და ეთაყვანებოდეს:

"ქართველები გულს კი ვერ დაინახავენ, არამედ მუსულმანობის პირით აღიარება დაიჯერებენ და რადგანაც დედოფალი სარკეა მთელი ერისა, ჩვენი ერი გამუსულმანდებაო".(http://www.nplg.gov.ge)

მიუხედავად იმისა, რომ ქეთევან დედოფალმა იცოდა სასტიკად დასჯიდნენ და აწამებდნენ ამისთვის, არ გადაუფიქრებია და მყარად იდგა თავის აზრზე, ბოლო ამოსუნთქვამდე ქრისტეს სიყვარულით იყო გამსჭვალული. ამის გამო სასტიკად აწამეს წმინდანი და როდესაც გარდაიცვალა, მისი გვამი ცხოველებისა და ფრინველების საჯიჯგნად დააგდეს. მაგრამ ამ ყველაფერს ფრანგი მისიონერებიც შეესწრნენ, რომლებმაც საკუთარი თვალით იხილეს ქეთევან დედოფლის

მოწამეობრივი აღსასრული და მისი ეულად მიტოვებული ცხედარი არ დატოვეს მხეცების საჯიჯგნად. დედოფლის ასე საშინლად ნაწამები გვამი ძვირფასი ნელსაცხებლით გაჟღენთილ ტილოში შეახვიეს და ისე წააბრძანეს საფრანგეთში, საიდანაც თეიმურაზ მეფეს გამოუგზავნეს წმ. ქეთევანის თავი და მკლავი. მეფე თეიმურაზმა დიდი გულისტკივილით დაიტირა წამებული დედა და დიდი პატივით დაასაფლავა ალავერდის ტაძრის საკურთხევლის ტრაპეზის ქვეშ.

ქეთევან წამებული წმინდანადაა შერაცხული როგორც მართლმადიდებლების, ასევე კათოლიკების მიერ.

უთვალავია თაყვანსაცემ ქართველ ქალთა რიცხვი. ქალის როლი და დამსახურება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში როგორც უკვე ვთქვი ძალიან დიდია. ჩვენი გამორჩეული მანდილოსნების დამსახურებით და შთაგონებით არაერთმა ჩვენმა გამოჩენილმა მწერალმა უძღვნა ქართველ ქალებსა და დედებს ლექსი, პოემა თუ მოთხრობა. მათგან ყველაზე გამორჩეულს მაინც ილია ჭავჭავაძეს დავასახელებ თავისი გენიალური ლექსით "ქართლის დედა". ამ ლექსში ილიამ დაგვიხატა ქართველი დედის სახე.

ქართველი ქალების სიდიადის, სინარნარის, კდემამოსილების და სრულყოფილების მაგლითია ჩვენი საამაყო ანსამბლი სუხიშვილები, სადაც ქართველი მანდილოსნები მაღალპროფესიონალურად და ტანკენარად გადმოსცემენ და აჩვენებენ არამხოლოდ საქართველოს, არამედ მთელს მსოფლიოს ქართველი ქალის ყველა ღირსეულ და სამაგალითო თვისებას, რასაც ოდითგანვე იჩენდნენ ჩვენი საამყო ქალბატონები და დედები.

სუხიშვილების დიდ მიღწევებსა და წარმატებებს გრიგოლ რობაქიძემ სტატია უძღვნა "როკვით განფენილი ქართული გენია", სადაც შესანიშვად აღგვიწერს ქალბატონების ფიზიკურ თუ მორალურ ღირსებებს. "ქალთა კადრი დასში, თვითეული: კენარი, ჯავარი, სინაზით ტვიფრული, მწყაზარი, მორცხვი, კდემული. ნელი, წყნარი, ნარნარი, ქალწულური სრულიად - მიმოხვრაშიც: როკვა - გოგმანი, გოგმანი - სრიალი, სრიალი - ცორვა, ცორვა - ცურვილი: გედის ცურვილი, ყველანი ერთად: გედები, გედები, თეთრი გედები, ხან ფრონტალურ გამწკრივულნი

ჰაეროვნებით, ხან მარაოდ გაშლილნი, რომელიც არეს ცისარტყელად ეფინება.”(რობაქიძე, 1962)

მამაკაცის პატივისცემა და მოკრძალება ქალის მიმართ ძალიან კარგად ჩანს ყველა ქართულ ცეკვაში. არცერთ ქართულ ცეკვაში მამაკაცი ქალს არ ეხება ფიზიკურად.

“ასეთი ხალისი, ასეთი სიხარული, ასეთი ლხენა - საუკუნოებში ტანჯული საქართველოს წიაღთგან! არაა ეს საკვირველი? მართლაც რომ საკვირველია! სადღაც უნდა მეთქვას: ყოველი წვეთი სისხლისა, საქართველოს დედულ-მამულისათვის დანთხეული, მზის სხივად ესხმოდა ქართულ მიწას. ახლა ვამბობ: საქართველო დაჭრილი მზეა. “დაჭრილი მზე” - მაგრამ მაინც მზე! აქეთგან: მისი ხალისი, ხალისი მაინც: უფრო ძალაყრილი. ნიცშეს სიტყვა - “რაც ვერ მძლევს, მხდის უფრო ძლიერს” - საქართველოზე თუა გამოჭრილი.” (რობაქიძე, 1962.)

III. ქალის კულტი აკაკი წერეთლის თხზულებებში

აკაკი წერეთელი თავის შემოქმედებაში სიყვარულის ყველა სახეობას ეხება: სამშობლოს მიმართ სიყვარულს, შრომის სიყვარულს, მოყვასის სიყვარულს, ქალის სიყვარულს. ხშირად, მის პოეზიაში სამშობლოსა და სატრფოს სიყვარულიგაიგივებულია.

სიყვარულის არცერთი სახეობის მიმართ არ დარჩენილა გულგრილი აკაკის კალამი. სერგი დანელიას განმარტებით, “სიყვარულია აკაკისთვის ის ნაზი და ცოცხალი ნივთიერება, რომლისგან და რომლის ძალითაც მოქსოვილია ყველაფერი, ვარდის ბუჩქიდან დაწყებული ცის ვარსკვლავებით გათავებული. აკაკის შეხედულებით, ან უკეთ მისი განცდით სიყვარული თვითონ ქსოვს თავის არსიდან მთელს მრავალფეროვან ბუნებას”.(ბაქრაძე; 2008; გვ.186.)

ქართულ ლიტერატურისმცოდნეობში ხშირად აღნიშნულა, რომ ძნელი გასამიჯნია, სატრფოში როდის გულისხმობს აკაკი სამშობლოს და როდის ქალს.

აკაკი ბაქრაძეს მიაჩნია, რომ ეს გადჭარბებული შეფასებაა და ამის გამიჯვნა ძნელი არ არის. სატრფო-სამშობლოს სახეს იმდენად მკაფიო კონკრეტული ნიშნები აქვს, რომ შეუძლებელია რამე შეგვეშალოს.

სატრფო-სამშობლო “ცხრაკლიტურშია მჯდომარე, რომელსაც შეთვისებას უპირებს გაიძვერა მოყვარე” (“სატრფოს”).

“ტარიელი დაეძებს

გავარდნილი დღეს ველად.

ავთანდილი ფრიდონით

მოდის გამოსახსნელად. (“სატრფოს”)

სატრფო სამშობლო “ძველი ტურფაა” დღეს მკვდრეთით მძინარი, ფეხშიშველა, თავზე ლეჩაქ ახდილი” (“მუხამბაზი”). (ბაქრაძე; 2008 : 187).

“მუხამბაზი” მხურვალე პატრიოტული გრძნობითაა გამთბარი. პოეტისთვის არ არსებობს პირადი სატკივარი. უნაპირო სევდა, რომელსაც ის მთელი არსებით შეუძრავს , გამოწვეულია იმით, რომ მისი სატრფო ცოცხალ-მკვდარია:

“მაგრამ იცით ჩემი სატრფო ვინ არი?

ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი.”

მძინარე სამშობლოს თავს ადგას მწუხარე პოეტი, მისი ტანჯვის დიდი მოზარე და მტრის გულის გასაგმირავად იცინის, მაგრამ ეს სიცილი ვერ ფარავს მის სულიერ ტკივილს და მღელვარებას:

“რა იციან რომ ეს გული მკვდარია,

რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა”.

ამ ტანჯვაში ჩაქსოვილია იმედის სხივი, პოეტი საყვარელი სამშობლოს გამოღვიძების მოლოდინით სულდგმულობს:

“მხოლოდ იმის გამოღვიძებას მე ვუცდი,

თუ ლოდინში უდროოდ არ მოვხუცდი”.

“მუხამბაზი” ნათლად წარმოგვიდგენს პოეტის სევდის მიზეზს. მას აღონებს ის გარემოება, რომ მისი “ტურფა” საქართველო _ “ფეხშიშველი”, “ლეჩაქახდილია”, რომ მას არ ესმის მგოსნის საყვირის მოწოდება, მაგრამ ამ სევდიან ლექსშივე პოეტი გვაბრთხილებს: - “მაგრამ მაინც სულ ვიცინი, არ ვტირი”.

სატრფო-სამშობლო ნესტან-დარეჯანია, რომელიც ქაჯებს ჰყავს ტყვედ და გამოხსნას ელის (“ჭაღარა”) (ბაქრაძე, 208: 187).

აკაკისათვის წარსული და აწმყო თანაბარი იყო, თანაბრად ცოცხალი. წარულის ადამიანები ისევე ცოცხლობდნენ მის გვერდით, როგორც თანამედროვენი:

“ვუხმობ ფრიდონს და ავთანდილს,

მხარი მხარს მივცეთ, ხელი ხელს.

ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს,

მოელის ტურფა გამომხსნელს”.

ამას ისე ამბობს, თითქოს გამოგონებულ პერსონაჟებს ან წარსულის ადამიანებს კი არ მიმართავს, არამედ გვერდით მდგომ თანამედროვეებს.

ამ ერთმთლიან დროში ცხოვრობს ერთმთლიანი სამყარო.

ერთმთლიანი სამყაროს ერთ-ერთი გამოვლენა-გამოსხივებაა კაცობრიობა.

ქართველი ერიც ერთმთლიაანობაა და სხდასხვა ერი ამ ერთმტლიანობის ცალკეული გამოვლენა-გამოხივებაა.

როცა აკაკი სამშობლოს თავისუფლებაზე საუბრობს, კაცობრობის თავისუფლებასაც გულისხმობს. მრავალი ვერ იქნება თავისუფალი, თუ ერთი არ არის თავისუფალი. ერთი ვერ იქნება თავისუფალი, თუ მრავალი არ არის თავისუფალი.

“ჩემი ხატია სამშობლო,

სახატე - მთელი ქვეყანა”. (ხატის წინ”)

ლექსში “აღმართ-აღმართ” სამშობლოს სამშობლოს სიყვარულის გრძნობას, მისი თავისუფლების დაკარგვით გამოწვეულ მწუხარებას პოეტმა ინტიმური განცდის სიღრმე მისცა და ჭეშმარიტი ტრაგიზმის ელფერი შესძინა.

სატრფო-ქალსაც მკაფიო, კონკრეტული ნიშნები აქვს. ეს ქალი შეიძლება იყოს ხორციელად უმშვენიერესი არსება, მაგრამ იგი ვერ აანთებს ცეცხლს პოეტის გულში თუ მამულის ტრფობა არ სწვავს, თუ არ გაუზრდის სამსობლოს გმირ შვილს (“გამოსალმება”) (ბაქრაძე, 2008 : 187).

ქალმა ბრძოლისაკენ უნდა მოუწოდოს ვაჟს, დაჩაგრულ მოძმეთა თავისუფლების მოპოვებისაკენ, სიმამაცისაკენ და თავდადებისაკენ.

აკაკი წერეთლის ლირიკაში ქალის იდელი დახატულია ნინოს, თამარის და ქეთევანის სახით. თავად პოეტი ამ სამ მანდილოსანს "ზეციურ ტრიუმვიტარს" უწოდებს. ეს სამი მანდილოსანი მიაჩნდა აკაკის ქალობის, ანუ, როგორც XIX საუკუნეში იტყოდნენ, დედაკაცობის ნიმუშად. მათთვის უნდა მიებაძა ყოველ ქართველ ქალს. მაშინ აასრულებდნენ ისინი სატრფოს ღვთაებრივ მოვალეობას.

"თამარს, ქეთევანს და ნინოს
თაყვანს-ვსცემ, როგორც იდეალს,
საკვერთხად ვუდგამ წმინდა გულს
და ვუკმევ ტრფიალების ალს!"

("ჩემი ლოცვა")

"მე მას ვუგალობ, ვისაც განგებამ,
მშვენიერება უსხივცისკარა!...
ვინც ვარდს ელფერი, იას სინაზე
და ბულბულს ენა ერთად მოჰპარა!
. . . . . .
როცა ჭაბუკი გამოუცდელი
მას თაყვანს ვცემდი თავდადებულად,
ვხედავდი ნინოს, თამარს, ქეთევანს,
იმაში შენათხზ-შეერთებულად..."

("ქებათა ქება")

"ქებათა ქება" პოეტის სულიერი ბიოგრაფიის განუყოფელი ნაწილია. ამ ლექსში პოეტის სატრფო დახატულია უწმინდესი გრძნობებით, უნაზესი ფერებით, პოეტი მასში ხედავს იდეალს, გამთბარს სიცოცხლის სუნქვით და შემკულს ქართველი ქალის დიდებით.

ეს მხოლოდ ქალისადმია აღტაცებული თაყვანისცემა არაა, ეს არის ადამიანის ზნეობრივი სილამაზის, მისი სულიერი ძალების ქებათა-ქება.

სატრფო-სამშობლოს, სატრფო-ქალის, მოყვასის თუ ღმერთის სიყვარული ვნების თანაბარი ძალით არის გადმოცემული აკაკის პოეზიაში. სხვაგვარად შეუძლებელიც იქნებოდა. სიყვარულით ხორციელდება ადამიანისა და ღმერთის კავშირი. ამ კავშირის ჯაჭვის მთლიანობა დაირღვევა თუ, რომელიმე რგოლი ამოვარდება.(ბაქრაძე, 2008:190)

ქალის სიყვარული, მოყვასის სიყვარულით, სამშობლოს სიყვარულით, კაცობრიობის სიყვარულით მიემართება გზა ღმერთის სიყვარულისაკენ და სწორედ ღმერთის სიყვარულისაკენ მიემართება აკაკის ლირიკაც.

აკაკი თავისუფლების მოტრფიალე პოეტია. მისი ლირიკა დაეძებს თავისუფალ საქართველოს.

აკაკის პოეზიაშიც და პროზაშიც თითქოს ყველასათვის ყველაფერი გასაგებია, იოლი და მისაწვდომია. მაგრამ ხშირად მისი ლექსი იმდენად ღრმაა, რომ მოსილია იდუმალებით. ასეთია, მაგალითად, “სულიკო”.

ვასილ ბარნოვიფიქრობდა, რომ “სულიკოში” გამოხატულია სატრფო-სამშობლოს ძებნის ტკივილი.

გრიგოლ რობაქიზე ვარაუდობდა, რომ ‘სულიკო” სატრფო-მშვენიერების ძიებაა.

აკაკი ბაქრაძე კი ფიქრობ, რომ ‘სულიკო” დაკარგული ღმერთის ძებნაა.(ბაქრაძე, 2008: 191).

საქართველოში ღმერთის დაკარგვის გამო წუხილი ერთ-ერთი ძირითადი თემაა აკაკის შემოქმედებისა.

“დაუზოგავად გაძარცვეს
ყველგან მონასტრის ტაძრები,
და იმ ნაძარცვით აავსეს
საუკუღმართო ბაზრები.

ხალხმა სთქვა: “ეს რა ყოფილა?

ხატს არ ჰქონია ძალაო,

თორემ თავისი გაგლეჯა

სხვას როგორ დააცალაო?

.....

დღეს-ხვალეობით ცოტ-ცოტად

გადაუბრუნდა ხალხს გული:

აღარც ხატი სწამს, არც ჯვარი,

დაკარგული აქვს მას რჯული!”

(“რაჭა-ლეჩხუმი”)

საყვარელი ღმერთის სახელია. ლექსში “სულიკო” საყვარლის, ანუ ღმერთის ძებნას უშედეგოდ არ ჩაუთვლია. პოეტმა იგი იპოვა ვარდში, ბულბულში, ვარსკვლავში. რა შეიზლება იყოს, გარდა ღმერთისა, დამარხული, შენახული ვარდში, ბულბულში ან ვარსკვლავში? ცხადია, არაფერი. ერთადერთი, რისი საფლავიც (ანუ შემნახავი) შეიძლება გახდეს სამივე, არის უზენაესი, რაკი იგი ყველგან სუფევს. არსებითია ისიც, რომ ძიება მიმინარებს ვერტიკალურად - ქვევიდან ზევით, მიწიდან ცისკენ. ამაღლების პროცესია ნაჩვენები. საერთოდ, აკაკის პოეზიაში მოძრაობა ყოველთვის ქვევიდან ზევით არის მიმართული. ესეც განაპირობებს იმას, რომ აკაკის ლექსების დიდ ნაწილს საგალობელის ხასიათი აქვს (ბაქრაძე, 2008: 194).

საყვარლის პოვნა პოეტს უდიდეს სიხარულს გვრის: “და რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს, ვერ გამომითქვამს ენითა”. თუ ადრე პოეტს უიმედობა და სასოწარკვეთილება ფლობდა, ახლა კი უკვე “ისევ გამეხსნა სიცოცხლე, დღემდე რომ მწარედ კრულ იყო...”

ამ სტრიქონებში ჩანს დაკარგული ღმერთის პოვნა. ეს სიხარულის ლექსია “სულიკო”.

ამდენად, აკაკის ლირიკაში ხშირად აიგივებენ სატრფო-სამშობლოსა და სატრფო-ქალის სახეს, თუმცა მისი გამიჯვნა და განსხვავება ადვილია, რადგან დამახასიათებელი ნიშნები გააჩნიათ.

ზევით უკვე ვახსენე, რომ აკაკისთვის მისაბაძი და და ქართველი ქალის იდეალს წარმოადგენენ ჩვენი, სხვადასხვა საუკუნეში მოღვაწე, თავდადებული მანდილოსნები - ნინო, თამარი და ქეთევანი. პოეტმა მათ "ზიციური ტრიუმვითარიც" კი უწოდა და უამრავი ლირიკული ლექსი და ისტირიული თუ მხატვრული პოემა უძღვნა მათ დიდებას. ერთ-ერთი ასეთი გამორჩემი ისტორიული პოემაა აკაკის "თორნიკე ერისთავი".

დიდმა აკაკი წერეთელმა ამ პოემაში შესანიშნავი მხატვრულობით გადმოგვცა ღვთისმშობლის წილხვედრი ჩვენი ქვეყნისთვის სახელოვან ქართველ ქალთა მარადიული ზრუნვა და ურვა. აკაკის დღოსაც ჩვენს ხალხში განელებული იყო რწმენა და სწრაფვა მომავლისაკენ და ქვეყანა გულგრილობას მოეცვა. ზეცის მბრძანებელი ჩვენზე გამწყრალი ჩანდა.

ისტორიულად დიდი დატვირთვა ჰქონდა ქართველ ქალს. საქართველოს გამაქრისტიანებელი იყო ქალი - წმინდა ნინო. საქართველოს ოქროს ხანა დაუდგა მეფეთ-მეფე თამარის მეფობის დროს. ქართველი ერი გამაჰმადიანებისგან იხსნა დიდმოწამე ქეთევან დედოფლის მოწამეობრივმა აღსასრულმა, ანუ, როგორც ამბობს აკაკი წერეთელი: ამ პატარა, საქრისტიანო სამეფოში, როგორც ღვთისმშობლს წილხვედრ ქვეყანაში, პირველობა ყველაფერში ქალებს ერგოთ.

ერთი უბრალო მოგზაური, კაბადოკიელი ქართველი ქალის, წმინდა ნინოს წინაშე, რომელსაც, მისივე თმებით ჯვარად შეკრულ ვაზის მეტი არაფერი ეჭირა ხელში, ემხობიან თავად მეფე და დედოფალი. ქეთევან დედოფალი საოცარ მაგალითს უჩვენებს საქრისტიანო ქრისტიანული რჯულისთვის და ეროვნებისთვის მოწამეობრივი აღსასრულით. თამარ დედოფალი, რომლის მეფობის დროს სიკვდილით არავინ დასჯილა, უმტკიცებს მის შემდგომ გვირგვინოსნებს, რომ ქვეყნის გაერთიანება და ამაღლება შეიძლება მხოლოდ სიტკბოებით, ლმობიერებითა და სიყვარულით.

ნინო, თამარი და ქეთევანი - სხვადასხვა დროს ეროვნულ სარწმუნოებრივი ღვაწლით გაბრჭყინებული სამი წმინდანი აკაკის თქმით: ნათლის სვეტად წინ უძღოდათ ჩვენს დედებს, ქართველ ქალებს. სწორედ ამ მიზნით ჰყავს წარმოდგენილი "თორნიკე ერისთავში" პოეტს პოემის დასასრულს სამი ქართველი თავდადებული და მისაბაძი ქალი წარმოდგენილი ჩვენების სახით, რომ ეს სამი ქართველი წმინდანი მუდამ იცავდა და იცავს კიდევ ჩვენს სამშობლოს და ლოცულობენ ჩვენი ქვეყნისათვის.

ნინოს, თამარის, ქეთევნის ერთიანი ხატების წინაშე რიდი და მოწიწება აკაკის პოეზიაში არაერთგან აქვს გამოხატული. 1889 წელს დაწერილ ლექსში "ბოდვა" პოეტი მათ "დედად გვირგვინად" მოიხსენიებს:

"აქ ნინო, თამარ, ქეთევან სამარადისოდ ქებულან,

დედათ გვირგვინად ზეგარდმო კურთხევით გაბრწყინებულან".

ლექსში "ჩემი ლოცვა" აკაკი ამბობს:

"ერთარსებაში სამივეს ვხედავ აქ მოთავსებულად!

თაყვანს ვცემ როგორც ღვთაებას და თავს ვგრძნობ გაახლებულად".

შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ პოეტი აქ სამივე წმინდანის ერთიან ხატს ხედავს, რადგან "გაახლებულად" თავი წმინდათა ხატის წინ ლოცვის შემდეგ შეიძლება იგრძნოს ადამიანმა. თუმცა, შესაძლებელია, პოეტს სურდეს მომავალში გამოჩნდეს პიროვნება, რომელშიც სამივე წმინდანის თვისებები იქნება გაერთიანებული და მან იხსნას საქართველო სულიერი თუ ფიზიკური განადგურებისგან.

ლექსში "სიზმარი" აკაკი ხედავს, ქვეყნის გასაჭირის ჟამს როგორ ჩამოვიდნენ მიწაზე ნინო, ქეთევანი და თამარი და შესთხოვდნენ უფალს "დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი" საქართველოსა და ქართველი ერის აღდგენასა და ფეხზე დადგომას.

მწერალი დავით ქორიძე შენიშნავს: "ქართველთათვის ნინო, თამარი და ქეთევანი ერთმანეთისგან განუშორებელ სამებად იყო აღიარებულიო".

დიდი ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე წერს: “გვყავს სამი დედა: წმინდა ნინო, მეფე დამარი და დედოფალი ქეთევანი. თვითეული მათგანი თავისებურად ახასიათებს ქალურ თაურს. ნინომ დამყნა საქართველოს ხის ტანში ქრისტეს სჯული - ხე იქცა ნამყენით. თამარმა განფინა შარავანდით ხელმწიფება ქართველთა. ქეთევანი ეწამა სჯულისათვის”.

მეოცე საუკუნის ისტორიკოსი ლევან სანიკიძე “უქარქაშო ხმლებში” ეხმაურება აკაკის იდეას: “ცხვრის ფარას მიჰყვებოდნენ კახელი მწყემსები. ყმაწვილმა მწყემსმა სამხრეთის ცაზე თეთრი ღრუბელი დაინახა, მოხუც მწყემს უთხრა: ის ღრუბელი თეთრ განფენილ ქალს ჰგავსო?” მოხუცმა კარგა ხანი უცქირა იმ ღრუბელს და ბოლოსსახეგაბრწყინებულმა თქვა: ამ ათი წლის წინ, მე ჩემი თვალით მინახავს ეგ ხორცშესხმული ანგელოსი! ქალი დედოფალი! დედა საქართველოსი! სიმშვენიერით, გონიერებით და სათნოებით ტყუპისცალი ნინო განმანათლებლისა და თამარ შვიდმნათობელისა”.

პოემა “წმინდა ნინო”, ანუ “ქრისტიანობის შემოღება საქართველოში” - კვალდაკვალ მიჰყვება “წმინდა ნინოს ცხოვრების” ტექსტს. პოეტი არაფერს ცვლის მასში, თუმცა ზოგჯერ პასუხს აძლევს იმ დროის საქართველოში გავრცელებულ ზოგიერთ ცრუ შეხედულებას. მაგალითად, მაშინ ზოგიერთი სწავლული ფიქრობდა, რომ წმინდა ნინო წარმომავლობით სომეხი იყო. პოემაში აკაკი მსჯელობს ამ საკითხზე. რაკი პოემა დაწერილია ბაბუის და შვილიშვილის საუბრის ფორმით, ბაბუა განუმარტავს შვილიშვილს.

სულ ძველად კაბადოკიაში ქართველთა მოდგმა ცხოვრობდა. მერე რომაელებმა კაბადოკია დაიპყრეს. იქაური მოსახლეობა გაარომაელ-გააბერძენეს. ნინოც კაბადოკიაში დაიბადა. იგი იმ ძველი ქართული მოდგმის შვილი იყო. ნინოს წინაპრებმა ქრისტიანობა ჯერ კიდევ მაშინ მიიღეს, როცა კაბადოკიაში იესოს მოძღვრებას ანდრია პირველწოდებული ავრცელებდა.

ყმაწვილი ნინო იერუსალიმში მიემგზავრება. აქ იგი კიდევ უფრო ღრმად ეცნობა ახალ აღთქმას. ხშირად ფიქრობს იმ ქვეყანაზე, სადაც ელიოზმა ქრისტეს კვართი

წაიღო. ერთხელ, ღამით, მას სიზმარში ღვთისმშობელი გამოეცხადა. ვაზის ჯვარი გადასცა

“და უბრძანა: “მე წილად მხვდა

ივერია... კერპთა მხარე,

შენ, გიბრძანებ, ჩემ მაგიერ

იქ მიხვიდე... მოიარე!”

წმინდა ნინო საქართველოში გამოემგზავრება. იგი ესწრება არმაზის დღესასწაულს. კერპთაყვანისმცემლობით აღშფოთებული ღვთის რისხვას დაატეხს თავს კერპებს - არმაზს, გაცსა და გაიმს.

წმინდა ნინო მცხეთაში, მაყვლოვანში, დაბინავდება. იგი სნეულებს მკურნალობს. ქრისტიანობას ქადაგებს. მძიმე სენით დაავადებულ დედოფალ ნანასაც წმინდა ნინოუმკურნალებს და წამოაყენებს ფეხზე. დედოფალი ფარულად ნინოს მიმდებარი ქრისტიანი ხდება. ქრისტიანობის აღმსარებელთა რიცხვი მცხეთაში თანდათანობით იზრდება. მეფე მირიანი მძვინვარებს. მას არ სურს მამაპაპური სალოცავების დავიწყება, უარყოფა. მეფე იმდენად არის გაბრაზებული, რომ თხოთის მთაზე სანადიროდ მიმავალი კარისკაცებს ეუბნება:

“რომ დავბრუნდეთ მცხეთას, ისევ

მთლად სმეფო იქ შევყაროთ

და ეს ჩვენი განზრახული

საქვეყნოდაც აღვიაროთ.

დავგმოთ ნინო, ვით გრზნეული!..

დაუდგება ეშმაკს თვალი

და თუ ნანაც არ დაგვთანხმდეს

გავწიროთ თვით დედოფალიც ...”

ეს უკეთური სიტყვები მეფეს დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ცამ იქუხა და ირგვლივ ჩამობნელდა. ევედრა მირიანი თავის კერპებს, მაგრამ წყვდიადი არ

გაიფანტა. არავინ მიეშველა მეფეს. მაშინ იგი ნინოს ღმერთს შეემუდარა. ბნელეთი ნელ-ნელა განათდა. დედაქალაქში დაბრუნებულმა მეფემ ქრისტიანობა იწამა. მთელი ერი მოინათლა.

როცა წმინდა ნინო ბოდბეში გარდაიცვალა, მეფე მირიანს მოციქულთასწორის ცხედრის მცხეთაში წამოსვენება და იქ დაკრძალვა უნდოდა, მაგრამ:

“ვეღარ დასძრეს ადგილიდამ
წმინდა კუბო... მძიმედ ნახეს
და დამარხვა ნეტარისა
ადგილობრივ განიზრახეს...”

ქართველთა განმანათლებელი ბოდბეში მიაბარეს მიწას. ეკლესიაც იქვე ააგეს.

პოემა სრულდება წუხილით ქართველთა ნაძალადევი გადარჯულების გამო.

“მაგრამ დღეს კი აღარ მიდის
ქართველი, რომ სცეს თაყვანი,
რადგანს მისთვის დაკეტილი
არის წმინდა გალავანი.
თითქმის თორმეტ იანვარსაც
არ მიდიან!.. თავს არ ხრიან,
რადგანაც აქ ქართულის წილ
“პაკი-პაკი”ს იძახიან.

წმინდა ნინოში აკაკი წერეთელი ხედავდა ქართველი ხალხის სარწმუნოებრივ მთლიანობას, გამოვლენილს ქრისტიანობის სახით. მაღალი ეროვნული მიზნის მისაღწევად ყოველ ხალხს სჭირდება სულიერი მთლიანობა. ამ მთლიანობის შექმნა კი მხოლოდ სარწმუნოებას შეუძლია. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ქრისტეს აღდგომას აკაკი წერეთელი საქრთველოს აღდგომასთან აკავშირებდა. ეს ორი მხატვრულ-აზრობრივი სახე მას ერთმთლიანობად ჰქონდა წარმოდგენილი.

აღორძინებული ღმერთი და აღორძინებული ქვეყანა ერთმანეთს სრულიად ბუნებრივად დაუკავშირდა, რამეთუ აკაკი წერეთლისთვის საქართველო მიჯაჭვული ამირანიც იყო.

აკაკი წერეთელმა ავადმყოფი ერისა და მიჯაჭვული ამირანის გვერდით, საქართველოს მესამე ხატიც შექმნა. ეს არის საქართველო-ჩონგურის სახე. ჩონგური მან ქართველი ხალხის ერთიანობის სახედ წარმოგვიდგინა.

“ჩონგური საქართველოა,

სიმები ჩვენ ვართ ყველაო,

სხვადასხვა კუთხის მცხოვრები,

“ოდელა-დელა-დელაო!...”

ერთობა ჩვენთვის ხატია,

მტრებისთვის სახრჩობელაო!...

მტრებს “ვაი დედა” ვაძახოთ

და ჩვენ ვთქვათ: “დელა-დელაო”.

(“ნათელა”)

თუ ოდესმე საქართველო აწყობილ ჩონგურს ჰგავდა, ეს იყო თამარის ეპოქაში. აკაკის იდეალი თავისუფალი ქვეყნისა თამარის საქართველომ გამოხატა და ამიტომ პოეტის საოცნებო სამების მეორე ჰიპოსტასია თამარი.

აკაკი წერეთელს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ვერც ეროვნული ძალმოსილება, ვერც ზნესრულობა ხორცს ვერ შეისხამს, ოცნებიდან სინამდვილედ ვერ იქცევა, თუ არ არიან ადამიანები, ვისაც ძალუძს ამისათვის თავგანწირვა, ვინაც საკუთარი ხორცისა და სულის გვემით შეიძლებს გოლგოთაზე აზიდოს ჯვარი. ასეთი პიროვნება იყო ქეთევან დედოფალი. (აკაკის სამრეკლო, 1990 :300).

საქართველოს ერთიანობის იდეა მუდამ იდგა აკაკი წერეთლის მხატვრული შემოქმედებისა და პუბლიცისტური მოღვაწეობის ცენტრში, მაგრამ განსაკუთრებული სიყვარულით და სისრულით ეს თემა პოეტმა დაამუშავა პოემაში “ნათელა”.

“ნათელას” სიუჟეტს საფუძვლად დაედო საქართველოს ისტორიის გმირული ეპიზოდი - გამოჩენილი ქართველი მოღვაწის ცოტნე დადიანის რაინდული თავგადასავალი, რომელიც “ქართლის ცხოვრებამ” შემოგვინახა. ცოტნე ყოფილა ძე ერისთავთ-ერისთავის შერგილ დადიანისა.

პოემის გმირი ქალი ნათელა არ არის ისტორიული პიროვნება. მის სახეში პოეტის მიერ განზოგადებულია ქართველი ქალის სულიერი მშვენიერება, ნებისყოფა და მაღალი პატრიოტული გრძნობა. ნათელა აკაკის პოეტური ფანტაზიის ნაყოფია, ჩვენი წარსულის შესწავლის საფუძველზე მხატვრულად ხორცშესხმული. მისი პირვანდელი სახე პოემაში ყოფილა არა ნათელა, არამედ პირიმზისა, მზის სადარი. ნათელა გულის დასაკუთრებას მრავალი ვაჟი ნატრობს, მაგრამ ქალს პირობა დაუდვია, რომ თავის ღირსად მიიჩნევს მხოლოდ იმ ქართველ გმირს, რომელიც მტრის სისხლით შეღებავს ნათელას მიერ შეკერილ ჩოხას და ასოცი მტრის მოჭრილ თავს წამოაგებს მის კარმიდამოს სარებზე. ამ პირობის შესრულება მხოლოდ ცოტნე დადიანმა შეძლო. პოეტმა სიყვარულით დააკავშირა იმერეთის ასული და სამეგრელოს საარაკო ვაჟკაცი. პოეტის იდეა ფართოა, მას უნდა მთლიანი საქართველოს სახე გვაჩვენოს. ცოტნე დადიანი თავის მეუღლეს მოწყენას შეამჩნევს და მიზეზსაც უმალ გაიგებს. ნათელა თავის გულის სწორს უმჟღავნებს ფარულ სევდას:

“თვალწინ მეხატვის ერთი რამ,
ისა მკლავს და ის მაღონებს:
ლიხს იქით მოძმე ქართველი
ყმად გაუხდიათ მონღოლებს
დღეს აქ ლხინი გვაქვს საერთო
იქ კვნესა ისმის დაჭრილთა
და ქვრივ-ობლების ღრიალი”.

ნათელას მოწოდებით აღფრთოვანებული ცოტნე დადიანის მესვეურობით დასავლეთ საქართველო ემზადება მონობის უღელქვეშ მოქცეული ძმების

დასახმარებლად. მაგრამ მონღოლებმა აღმოსავლეთ პატრიოტების შეთქმულება აღმოაჩინეს. შეთქმულნი გააშიშვლეს და თაფლწასმულნი მზეზე დასვეს. სალაშქროდ წასულმა ცოტნე დადიანმა შეიტყო მათი შეპყრობის სამწუხარო ამბავი. რადგან შველა უკვე გვიან იყო, იგი მარტო გაეშურა წამებულთაკენ, მათ წრეში ჩადგა, მათი ტანჯვა გაიზიარა.(ქარ.ლიტ.ისტ : 166.)

აკაკის პოემაში საქართველოს ეროვნული მთლიანობის იდეა ცოცხალ მხატვრულ სახეებშია განხორციელებული. ნათელას სიმღერა - “ ჩონგური საქართველოა სიმები ჩვენ ვართ ყველაო” - გამოხატავს მთლიანი საქართველოს, მისი ყოველი კუთხის პატრიოტთა გრძნობას და მისწრაფებას.

“ნათელა” ქართველი ქალის გმირობისა და სამშობლოს სიყვარულის გრძნობის გამომხატველი ნაწარმოებია. მძიმე გარემოცვასა და სიბნელეში, ნათელი ვარსკვლავივით ანათებს მოდინახის პატრონის წერეთლის ქალი, ნათელა. მისი სილამაზე განსაცვიფრებელი იყო:

“ზევრია საქართველოში

პირთამზე, მზეთუნახავი,

მაგრამ ნათელას რომ სჯობდეს

არავინ არის მნახავი.

ტანადობა აქვს ალვის ხის

და თვალადობა მთვარისა,

ღიმილი-ცისკრის ვარსკვლავის,

სხივოსან მოელვარისა.

ვარდს მიუძღვნია ელფერი,

სინაზე ტურფა იასა;

ზედ შუქი მოუფენია

სამოთხის კარსა ღიასა.

ცისფრი მისი თვალები

სამოთხის ჩამსახველია,

კოჭებამდე სცემს ხუჭუჭი,

შავი, უკუნი, ბნელია ...”

ნათელა გარეგნულ სილამაზესთან ერთად სულიერი სილამაზეც ამშვენებს. იგი სავსეა პატრიოტილი გრძნობით, გული შესტკივა სამშობლოზე. ასევე ძალიან ჭკვიანი და გამჭრიახია.

სამაგალითო ქალის სახე აქვს დახატული აკაკი წერეთელს თავის პროზაულ ნაწარმოებში “ბაში-აჩუკი”.

“ბაში-აჩუკი” ერთ-ერთი გამორჩეული და შესანიშნავი ძეგლია ქართული პროზის.

ამ ნაწარმოების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია - ცოცხალი ხასიათები და სახეები, რომელთა მოქმედებაში გამოხატულია სამშობლოსათვის თავდადების იდეა, ამბის თხრობის მაღალი ოსტატობა და დინამიკური სიუჟეტი.

ნაწარმოების გმირთა სახეების წარმოსაჩენად მწერალი მრავლეფეროვან მხატვრულ ხერხებს მიმართს, მაგალითად: სატირულ-ჰერმოიკულს, ტრაგიკულს, ფანტასტიკურს.

“ბაში-აჩუკი” მხატვრული შესრულების და სიუჟეტის თვალსაზრისით ნოვატორული მოვლენა იყო ქართულ პროზაში.

აკაკიმ “ბაში-აჩუკს” უდიდესი რეალისტური სიღრმე და ემოციური ზეგავლენის ძალა მიანიჭა. ამ მოთხრობაში მთელი ძალით იჩინა თავი აკაკის ეპიკურმა ხელოვნების იშვიათმა უნარმა. მასში სრულყოფილი განხორციელება პოვა აკაკის მთავარმა ესთეტიკურმა პრინციპმა, რომ “ნიჭი და ხელოვნება საგნის დიადობაში კი არ არის, არამედ მათ გამოხატვაში და გათვალისწინებაშია, გინდ დღევანდელი ვარამი იყოს და გინდ გადასული ამბავი”. (ქარ. ლიტ. ისტ. ტომი IV. 1974წ.)

“ბაში-აჩუკი” ისტორიულ-ეპიკური ნაწარმოებია, რომლის სიუჟეტისათვის აკაკის საქართველოს ავბედობის ხანა შეურჩევია, კერძოდ კი, ქართლ-კახეთის ბრძოლა XVII საუკუნეში სპარსეთის მონობისაგან თავის დასაღწევად. ამ ბრძოლას მეთაურობდნენ სახელოვანი პატრიოტები ბიზინა ჩოლოყაშვილი და ქსნის ერისთავები ელიზბარი და

შალვა. ავტორი ყველაზე გამორჩეულად და სრულყოფილად ხატავს ხალხის წრიდან გამოსულ გმირს, სამშობლოსათვის თავგანწირულ “ბაში-აჩუკს”.

აკაკიმ ამ მოთხრობაში სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებთან ერთად გვიჩვენა მოღალატე მაყაშვილის სახე და ზაალ არაგვის ერისთავის ერთგვარი განდგომა საერთო საქმისგან, თუმცა ზაალის მეუღლე მხურვალედ თანაუგრძნობს აჯანყების მოთავეებს. სწორედ ამ კუთხით არის მოცემული მოთხრობა საინტერესო. აქ ვხდებით სამშობლოსათვის თავგანწირულ, პატრიოტი ვაჟკაცების გვერდით სასახელო და თავდადებულ ქართველი ქალის სახეებსაც პირიმზისას, პირიმთვარისას, უბრალო გლეხის ცოლის - მელანოს და წერეთის ქალის სახით.

ხალხური გადმოცემები აკაკის ეხმარება გვიჩვენოს ქართველი ხალხის ერთობლივი ბრძოლა მტრის წინააღმდეგ. საქართველოს ერთი კუთხის მცხოვრებნი ძმურად უწვდიან ხელს განსაცდელის დროს მეორე კუთხის მცხოვრებთ. ამ ეროვნული მთლიანობის იდეის კონკრეტული განსახიერებაა აკაკის მოთხრობის მთავარი გმირი, იმერეთიდან კახეთში გადმოსული ბაქრაძე, განთქმული საარაკო ვაჟკაცობით, რომელიც ბაში-აჩუკად იწოდებოდა. ასევე გადმოცემების მიხედვით შეიქმნა სპარსყოფილი გმირი ქართველის, აბდუშაჰილის სახე. ლეგენდიდან აიღო აკაკიმ იმერელი პატრიოტი ქალიშვილების _ პირიმზისას და პირიმთვარისას უკვდავი სახეები. (ქარ. ლიტ. ისტ. ტომი IV. 1974წ.)

უხსოვარი დროდანაა ცნობილი ქართველი ქალების სილამაზე და ეს წარმოჩენილია ამ ნაწარმოებშიც ტყუბი დების - პირიმზისას და პირიმთვარისას სახით. აკაკის ძალიან ლამაზად ყავს დახასიათებული დები ბაქრაძეები გარეგნულად, მათი მშვენიერებით ყველა მოხიბლული რჩება, ვინც კი იხილავს. მაგრამ ისინი მხოლოდ გარეგნული სილამაზით არ გამოირჩევიან. ტყუპი დები ამავდროულად არიან ძალიან გამბედავები და უშიშრები. ტრაგიკულად სრულდება მოთხრობაში პირიმთვარისას სიცოცხლე მაგრამ გმირულად, მან ხანის ცოლობას სიკვდილი არჩია და ძალიან მოხერხებულად და ჭკვიანურად თავი მოაკვლევინა თათარს, როდესაც მონასტერს დაესხნენ თავს და ქალიშვილების მოტაცება დაიწყეს ხანის დავალებით.

ასევე გამორჩეული სახეა პირმზისაც, რომელმაც მოხიბლა და თავი შეაყვარა თავისი სილამაზით, მოკრძალებით და სიმორცხვით აბდულშაჰის და ასე შემოუერთა იგი აჯანყებულ ქართველ ვაჟკაცებს ხანის წინააღმდეგ საბრძოლველად. ერთ-ერთ დღეს კი, როდესაც ბანაკში მოიყვანა თანაგუნდელების გასაცნობად, მელანოს შეხვდა, სადაც აღმოჩნდა რომ და-ძმანი იყვნენ

გამორჩეული სახეა მელანოც მოთხრობაში, რომელიც ყველაინად ცდილობს დაეხმაროს ქართველ ვაჟკაცებს, რითაც შეუძლია ყველაფრით გვერდით უდგას, საჭმელს უმზადებს, უზიდავს.

როგორც მედალს აქვს ორი მხარე, ასევეა მოთხრობაშიც წარმოდგენილი ლამაზ და თავდადებულ ქართველი ქალების გვერდით მწერალს მოთხრობაში წარმოდგენილი ჰყავს ორპირი, მლიქვნელი, მხოლოდ პირად სარგებელზე მზრუნველი ქალი - თიმსალმაქო. იგი მლიქვნელურად გაიგებს ბაში-აჩუკის ადგილსამყოფელს და გადასცემს ალი-ყული-ხანს. სწორედ თიმსალმაქოსგან გაიგებს ხანი მონასტერში ქალიშვილების გადამალვის ამბავსაც.

80-იან წლებში აკაკი სისტემატურად მუშაობდა დრამატურგიის დარგში და ინტენსიურად აქვეყნებდა მოთხრობებს. მათგან გამორჩეულია “კუდურ-ხანუმი” და “თამარ ცბიერი”.

როგორც ზევით ვახსენე მედალს ყოველთვის ორი მხარე აქვს, ჩვენი სურვილის მიუხედავად კარგის გვერდით ყოვეთვის იქნება ცუდი, სიკეთის გვერდით ბოროტება, დადებითის გვერდით უარყოფი. აკაკიც მისაბაძი ქართველი ქალის კულტის გვერდით გვიხატავს უარყოფითი თვისებების მქონე ქალებსაც. სწორედ ასეთი პერსონაჟი ჰყავს წარმოდგენილი კუდურ-ხანუმის სახით.

“კუდურ-ხანუმს” ავტორმა ცენზურის თვალის ასახვევად ისტორიული დრამა უწოდა და მოქმედება გადაიყვანა მე-16 საუკუნეში. მაგრამ პოეტის თანამედროვე ქართველმა საზოგადოებამ მასში უმალვე იცნო არსებული სინამდვილე, ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელთა გადაგვარებული ცხოვრება, მათი მლიქვნელური ბუნება. (ქარ. ლიტ. ისტ. ტომი IV, 1974წ.).

კუდურ-ხანუმი არის გადაგვარებული ბობოლა მოხელის _ ნადირ-ფაშას ცოლი, იგი პოემის ცენტრში დგას. ნადირ-ფაშას კარიერა კუდურ-ხანუმის ბნელ მაქიცებიებსა და ამორალურ სარქციელებს ეყრდნობა. იგი გახრწნილი ქალია და ანგარების გამო მზადაა ფეხით გათელოს ყველაფერი ღირებული რაც ადამიანს შეიძლება გააჩნდეს. მას დავიწყებია თავისი ვალი არამხოლოდ საკუთარი ხალხისა და სამშობლოს წინაშე, არამედ ყოველივე მშობლიურის.

გამორკვეულია, რომ დრამის პროტოტიპებს აკაკი წერეთლისათვის წარმოადგენდა: ქუთაისის თავადაზნაურობის მარშალი, გადაგვარებული ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელი ნესტორ წერეთელი (ნაირ-ფაშა) და მისი ცოლი პელაგია (კუდურ-ხანუმი). ახალთაობის და პროგრესული აზრის მტერი ნესტორ წერეთელი აკაკიმ, მისთვის ჩვეული სარკაზმით, ამხილა ადრეც, კერძოდ 1867 წელს ჟურნალ “ცისკარში”. თავგასულ წინამძღოლს უწოდა “ბოროტი და თავის ძმის არგამტანი, ახალგაზრდა ქართველი თაობის გესლიანი მოშურნე”. ამ ლექსის გამო აკაკიმ დიდი დევნა განიცადა, ამის შესახებ იგი გვიამბობს თავისი ნაწერების 1912 წლის გამოცემის შენიშვნებში.(ქარ. ლიტ. ისტ. ტომი IV. 1974წ).

“კუდურ-ხანუმში” მხოლოდ უარყოფითი ტიპები და მოვლენები არ არის აღწერილი. მწერალი ორ პატრიოტ ახალგაზრდას გვიხატავს: წარმტაც ელენასა და ჟინიან ყმაწვილ მამულიშვილს _ არჩილს. მათ ერთმანეთი ძალიან უყვართ, მაგრამ მათ შორის დგება კუდურ-ხანუმი და მისი ანგარების მსხვერპლი ხდება ეს ორი ახალგაზრდა. აკაკი დრამაში მკვეთრად უპირისპირებს ერთმანეთს, ერთი მხვრივ, სამშობლოს თავისუფლებაზე მეოცნებე მოწინავე ახალთაობას, რომლისგან გამოკრთის ზნეობრივი სისპეტაკის ნათელი და, მეორე მხრივ, ფეოდალური არისტოკრატიისა და მაღალი მოხელეების ფენას, მორალურად ზნედაცემულსა და ეროვნულად გადაგვარებულს.

“კუდურ-ხანუმი” დიდი სოციალური ჟღერადობის ნაწარმოებია, მასში მკაფიოდ აისახა 80-იანი წლების საქართველოს სოციალური ცხოვრების მკვეთრი წინააღმდეგობანი. საზოგადოებრივი ცხოვრების გაჯნსაღების სურვილი, შეურიგებელი ბრძოლა ეროვნული გადაგვარების წინააღმდეგ და ნათელი

იდეალებისაკენ სწრაფვა _ამ დრამის მთავარი პათოსია (ქარ. ლიტ. ისტ. ტომი IV. 1974წ.).

აკაკის მეორე გამორჩეული დრამატული ნაწარმოებია “თამარ ცბიერი”. მოქმედება მიმდინარეობს იმერეთის სამეფო კარზე XVII საუკუნეში. ამ დროს მეფობდა გიორგი გურიელი. დრამაში დახატულია ორპირობა, სიცრუე და ინტრიგები, რომელიც იმ დროის მმართველებში იყო გავრცელებული. აკაკიმ იმისთვის აირჩია აღნიშნული პერიოდი ჩვენი ქვეყნისა, რომ ეჩვენებინა ფეოდალური პარტიკულარიზმი, მაშინდელი იმერეთის სახელმწიფოს მესვეურთა მორალური დაქვეითება, რომელიც თავს იჩენს გარეგნობით წარმტაც, მაგრამ ცბიერ და ავხოც დედოფლის სახეში. მას სრულიად დავიწყებული აქვს თავისი მოვალეობა ქვეყნის წინაშე, სამშობლოს გასაჭირი და მზად არის საკუთარ სურვილებსა და ვნებათა ღელვას შესწიროს ყველს ხალხის ინტერესები. თამარი, როგორც ქალი და დედოფალი, თავისი უარყოფითი თვისებებით შედეგია იმ ისტორიული უბედობისა და მორალური დაცემისა, რაც XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოს მთავართა უსაზღვრო ფეოდალურმა ეგოიზმმა გამოიწვია. დედოფალი თამარი გახდა დაუსრულებელი ბრძოლების საგანი მეფეთა და მთავართა შორის.

“თამარ ცბიერს” საფუძვლად დაედო შემდეგი ისტორიული ქრონიკა: “თეიმურაზ პირველმა, _ გვიამბობს აკაკი, _ მიათხოვა თავისი ქალი დარეჯანი იმერეთის მეფეს ალექსანდრეს, იმას თან მოჰყვა პატარა ობოლი ბაგრატიონის ქალი თამარი. თამარსაც, რასაკვირველია, ადრე მოუნდომეს გათხოვება, ჯერ ისევ ბავშვი უნდა მიეცათ რაჭის დიდებული ერისთავისათვის. ამ ერისთავის უფროსი ძმა გელათელად იყო და ეჭირა მთელი დასავლეთ საქართველოს ეგზარქოსის ადგილი. წავიდა ძმის ქორწილზე დასასწრებლად, მაგრამ რომ დაინახა პატარა თამარის უცნაური მშვენიერება, თვითონ შეირთო ცოლად. რამდენადაც იზრდებოდა, ასაკში შედიოდა ეს მზე-ქალი, იმდენად უფრო და უფრო ლამაზდებოდა, ჰხიბლავდა მთელ სამეფოს და ხდებოდა მიზეზი ქვეყნის აოხრებისა. მეფე, მთავრები, დიდებულები და თვით წმინდა მამებიც კი ერთმანეთს ეჯახებოდნენ, ოღონდ კი თამარი ჩაეგდოთ ხელთ. სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა, იმერეთის მეფე

რომ დაამარცხა, მოსტაცა თამარი. ბოლოს, როგორც იქნა, დაიბრუნა ისევ ტვალდათხრილმა ბაგრატმა . ასე ამგვარად ხუთჯერ თუ ექვსჯერ აქორწინეს ცოცხალი ქმრების ხელში. ბოლოს ჩაუვარდა ხელში გიორგი გურიელს, მთავარს, მისივე სიძეს, რომელიც გახდა იმერეთის მეფე. (ქარ. ლიტ. ისტ. ტომი IV. 1974წ.).

თავის გარშემო გამართულმა ბრძოლებმა მის გამო, თავბრუდამხვევმა წარმატებებმა და თავისი სილამაზის შეგნებამ გააღვივა თამარში ბუნებით ჩანერგილი ცბიერება, ანგარება, ვნებიანობა. მისი დაუცხრომელი ჟინის საგანი გახდა არა მხოლოდ მეფეები და მთავრები, არამედ ზნეობრივი სისპეტაქით ცნობილი მგოსანი გოჩა. გოჩა თავდადებული პატრიოტი იყო და თავს არ ზოგავდა თავისი ქვეყნის უკუღმა დატრიალებული ჩარხის წაღმა შემობრუნებისათვის. იგი უარყოფდა დედოფლის სიყვარულს. მას დედოფალი თამარი მიიაჩნდა სამშობლოს წარმატების გზაზე მდგარ მთავარ წინააღმდეგობად. ამის გამო გოჩა, თავის თანამოაზრეებთან ერთად გადაწყვეტს დედოფლის მოკვლას. თამარის უჩვეულო სილამაზის ძალამ აქაც იჩინა თავი. მძინარი თამარის ღვთაებრივი სილამაზით მოხიბლულმა მკვლელმა უეცრად უარი თქვა თავის განზრახვაზე და დედოფალი სიკვდილს გადაარჩინა. მარამ ამ მოულოდნელმა ამბავმა საოცარი ფსიქოლოგიური გარდატეხა მოახდინა დედოფალში, მასში აღძრა სინდისის ქენჯნა, გაახსენდა თავისი წარსული, მან შეიგნო თავისი ზნეობრივი დაცემის საშინელება. ეს სულიერი ბრძოლა დედოფალმა თვითმკვლელობით დაასრულა.

ავტორი “თამარ ცბიერში” მაღალი წოდების ზნედაცემულ წარმომადგენელთა საპირისპიროდ უდიდესი სიყვარულით ხატავს ხალხის წიაღიდან გამოსულ მაღალი ზნეობის ადამიანთა სახეებს. გოჩას გვედით დგას ნაწარმოებში მსახური ქალი ცირა, რომელსაც გულწრფელად უყვარს გოჩა. ცირას სახეს აჩვენებს არა მხოლოდ ეს ამაღლებული გრძნობა, არამედ სამშობლოსათვის თავდადების წმინდა ვალის შეგნება. ასეთივეა მასხარაც, რომელიც იძულებული მხიარულება მოჰგვაროს ყველას იმ დროს, როცა მის სულში სამშობლოს ბედუკუღმართობით გამოწვეული ჯოჯოხეთი ტრიალებს.

აკაკი ბაქრაძე განიხილავს აკაკის “თამარ ცბიერს” და თავის მხვრივ ამართლებს დედოფას. იგი ამბობს, რომ ვაჟს რომ ასარჩევად მისცე სიმდიდრე და სილამაზე,

იგი უთუოდ სიმდიდრეს აირჩევსო. ქალი კი პირიქით მოიქცევა: უეჭველად სილამაზეს ამჯობინებს. სილამაზეს სიყვარულისაკენ მივყავართ, სიყვარული კი ქალის უზენაესი დანიშნულებაა. ლამაზი ქალი თავისი სიყვარულის უარყოფას არავის აპატიებს, რაც კარგად ჩანს "თამარ ცბიერში", გოჩა-მგოსანმა არ გაიზიარა თამარ ცბიერის სიყვარული, განრისხებულმა დედოფალმა მგოსანი დააპატიმრებინა ისე, როგორც ფარაონის ქონდაქართუხუცესის ფოტიფარის ცოლმა ჩააგდებინა დილეგში იოსებ მშვენიერი, როცა ძმებისაგან გაყიდულმა ჭაბუკმა არ ისურვა თავისი ბატონის სარეცელში ნებიერობა. (ბაქრაძე, 2004 : 312).

თამარი სჯობნის ეგვიპტელ ქალს. იგი აღიარებს მგოსნის სიმართლეს და იკლავს თავს ცოდვამონანიებული. თამარი კი ისეთივე მართალია, როგორის მარიამ მაგდალინელი.

ამრიგად, "თამარ ცბიერში" დედოფლის ხაზის სიუჟეტურ-აზრობრივი შინაარსია ქალის ამაღლება ფოტიფარის ცოლიდან მარიამ მაგდალინელამდე, ანუ შურისგებიდან მონანიებამდე.

ადამიანი დაბადებიდან სიკვდილამდე ცხოვრების გზას უდანაშაულოდ და უშეცდომოდ ვერ გაივლის. რათქმაუნდა ამა თუ იმ ადამიანის შეცდომა თუ დანაშაული სხვადასხვა ზომისა და მასშტაბის შეიძლება იყოს, მთავარი ისაა მათი მონანიების და გამოსყიდვის უნარი გაგვაჩნდეს ყველა ადამიანს.

აკაკის ერთ-ერთ დრამაში "მედეაშიც" იგივე პრობლემა დგას რაც "თამარ ცბიერში". აკაკის ეს დრამა ტრილოგიად ჰქონია ჩაფიქრებული _ "მედია", "მედია ელადაში" და "მედია სამშობლოში დაბრუნებული", მაგრამ, სამწუხაროდ მწერალმა ამ ორი უკანასკნელის დაწერა ვეღარ მოასწრო.

უამრავი მითი, თქმულება და ლეგენდა შექმნეს ბერძნებმა არგონავტებსა და მედეაზე. ასევე, უამრავი მწერლის შემოქმედების წყარო გახდა კოლხი ქალის სახე და ქმედებები. მედეა თავისი ხასიათით ნამდვილი კოლხი (ქართველი) ქალია არაერთ თქმულებაში: ლამაზი, ენერგიული, შეუპოვარი, მოსიყვარულე, ოჯახის ერთგული, მოღალეტე ქმრისადმი დაუნდობელი.

ამიტომაც იქცა ერთი პერიოდი საბერძნეთში მედეა თითქმის კულტად. მის სახელზე იგებოდა ტაძრები, მას ლექსებს, პიესებს უძღვნიდნენ, ამათრახებდნენ და ამართლებდენენ.

კოლხ ქალთა სიმამაცეს და სიტურფეს არაერთმა ბერძენმა მწერალმა უმღერა ანტიკურ ხანაში. თვით დიდი ესქილე "მიჯაჭვულ პრომეთეში" ერთგან წერს:

"კოლხეთის გმირნი, ყმაწვილნი, ქაკნი,

ომში მამაცნი და უშიშარნი".

აკაკის მიხედვით, მედეა ბოლოს გმობს თავის საქციელს მამის მიმართ, ბრუნდება კოლხეთში, ურიგდება მამას და ეხმარება მას დაკარგული ტახტის დაბრუნებაში. აკაკის პიესაში მედეა მაინც სამშობლო მიწამ მიიბარა სამუდამოდ.

აკაკის დრამისთვის იმიტომ დაურქმევია "მედია" და არა "მედეა", რომ მწერალი პერსონაჟის სახელში ხაზს უსვამს ქალურობას, რამდენადაც სიტყვა "ქალი" მხოლოდ მერვე საუკუნიდან შემოსულა ჩვენს ქვეყანაში. არაბულად "ქალი" ნიშნავდა დედაკაცს. მანამდე კი ქართულად დედაკაცს "დია" ერქვა. აქედან წარმოსდგება თურმე სიტყვები - "დიასახლისი", "დიაცი" და ა. შ. სწორედ აქედან გამომდინარე დაურქმევია აკაკის პიესისთვის "მედია", რომელშიც ქალის პერსონაჟს უსვამს ხაზს.

როგორც თამარ ცბიერი, ისე მედია ზენაარსული სილამაზის ქალები არიან. მედიაშიც არის ცბიერება. ამ ქალის ფლიდობა რომ არა, საბერძნეთიდან მოსული იაზონი ვერ მოახერხებდა მზაკვრული გეგმების განხორციელებას.

როგროც თამარი, ისე მედია გულისთქმის მონაა. თამარს უყვარს გოჩა მგოსანი და სხვა აღარაფერი ახსოვს, არც დედოფლის მოვალეობა, არც ცოლის ერთგულება. მედიას უცხოელი იაზონი შეუყვარდება და ივიწყებს შვილისა და დის ვალს. მედიას დახმარებით, ბერძენი იაზონი ოქროსმატყლოვან ვერძს მოიტაცებს, რაც კოლხეთის დაცემის მომასწავებელია (ბაქრაძე, 2004: 314.).

აკაკი ბაქრაძე ვარაუდობს, რომ მედიაც მონანიებით დაამთავრებდა სიცოცხლეს.

დასკვნა

ამრიგად, აკაკი წერეთელი თავის მდიდარ შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ქალის სახის, ქალის კულტის წარმოჩენასა და დახატვას.

როგორც ნაშრომში ჩანს, ქართველებს გვყვას გამორცეული და სათაყვანებელი მანდილოსნები, რომლებითაც მუდამ ვიამაყებთ.

ქართველი მანდილოსნები ოდითგანვე გამოირჩეოდნენ გარეგნული სილამაზით, კდემამოსილებით, მომხიბვლელობით, თავმდაბლობით, დედმაშვილობის განსაკუთრებული მგრძნობელობით, სიდარბაისლით, გონიერებით, ქრისტიანული რწმენის განსაკუთრებული სიყვარულით და სამშობლოს უანგარო სიყვარულით, პატრიოტობის უმაღლესი გრძნობით. ქართველი ვაჟკაცების გვერდით ყოველთვის ამაყად იდგნენ ქარველი მანდისნები, რომლებიც ყოველთვის ამხნევებდნენ, მოუწოდებდნენ და მოტივაციას აძლევდნე ყოველი ომის, ბრძოლის თუ ნებისმიერი პრობლემის დროს. ქართველი დედები შვილებს ზრდიდნენ იმ პრინციპებიტ, რომ მათ ყოველთვის დაეცვათ საკუთარი მამული, ომებში აგზავნიდნენ იმ პირობით, რომ ბოლო ამოსუნთქვამდე დაიცავდნენ სამშობლოს, თუნდაც თავი გაეწირათ ამისთვი.

სწორედ ასეთ ქალბატონებს გვიხატავს აკაკი თავის შემოქმედებაში, აქებს და ადიდებს მათ თავისი კალმით. აკაკი ამბობს - თუ რომელიმე ხალხის გაცნობა გინდა, იმ ქვეყნის ქალები უნდა გაიცნო და შეისწავლოო. ჭეშმარიტად, საოცრებაა ქართველი მანდილოსანი.

ისტორიულად დიდი დატვირთვა ჰქონდა ქართველ ქალს. საქართველოს გამაქრისტიანებელი იყო ქალი - წმინდა ნინო. საქარტველოს ოქროს ხანა დაუდგა მეფეთ-მეფე თამარის დროს. ქართველი ერი გამაჰმადიანებას გადაარჩინა წმინდა მოწამე დედოფალმა ქეთევანმა. სწორედ ამ სამი იდეალი ქალის სახეს გვიხატავს აკაკი გამორჩეულად თავის პოემებში.

ნინო, თამარი და ქეთევანი - სხვადასხვა დროს ეროვნულ-სარწმუნოებრივი ღვაწლით გაბრწყინებული სამი წმინდანი, აკაკის თქმით: “ნათლის სვეტად წინ უძღოდათ ჩვენს დედებს, ქართველ ქალებს”.

ნინოს, თამარის და ქეთევანის ერთიანი ხატების წინაშე რიდი და მოწიწება ყოველ ნაბიჯზე ჩანს აკაკის შემოქმედებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

- **ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია,** II ტომი.
- **თხზულებანი ქართული ლიტერატურის ისტორია,** ტომი IV.
- **ლევან ასათიანის** - აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება.
- **აკაკი ბაქრაძიე** - ილია და აკაკი, თბილისი, 1992.
- **მიხეილ ზანდუკელი** - თხზულებანი ახალი ქართული ლიტერატურის, ტომი II, თბილისი, 1976.
- **აკაკის სამრეკლო** - 1990 წ.
- **ინტერნეტ რესურსები.**